ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ბათუმელი ბიჭის ცემას ზუგდიდში სისხლიანი გარჩევა მოჰყვა



გვ.5

დაჭრილია 3 ადამიანი

**13 მარტიდან**

ავთანდილ ბუხრაშვილი

**ქალი ჩანთაში**

ქართული დეტექტივი ტომი 16




ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ოთხშაბათი, 14 მარტი, 2018 №61 (7606) ფასი: 50 თეთრი

# „გახარიას რუსეთი ლობირებს, ბახტაძეს — უტა ივანიშვილი“ — ვინ იქნება ახალი პრემიერი



„ივანიშვილი „ოცნების“ ლიდერებს ახალ პრემიერზე ესაუბრა“

გვ.3



ლადო სადღობელაშვილი: „მალე ირაკლი კობახიძე იმით დაიწყებს ტრაბახს, რომ ოქტომბელი იყო"



„დეკემბერში პრემიერი გადაყენებისგან ნიკა მელიამ იხსნა“

## „დეკანოზი გიორგი მამალაძე პრეზიდენტმა უნდა შეიწყალოს“

გვ.2



## ლაშა ჩხარტიშვილი: „კალაძე პოზიციების გამყარებას ცდილობს“

გვ.4



## რომან გოცირიძე: „კვირიკაშვილის წერილი იყო მორიგი კაპიტულანტური შეთავაზება რუსეთისადმი“

გვ.2



**სამართალი** გვ.7



„მოგვაშორეთ ქართველი პატიმრები“ — შვედი მინისტრი, იუჰანსონი, გახარიას ქართველი დამნაშავეების წაყვანას სთხოვს



უკრაინის პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიება შეაჩერა



რესტორან „წინა ველში“ ბაღდათის საკრებულოს წევრებმა იჩხუბეს — პოლიციელს თავში ჭურჭელი ჩაარტყეს

**ეკონომიკა** გვ.6

საყდრისის კომიტეტი კულტურული მემკვიდრეობისთვის

საყდრისის კომიტეტი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აუქციონის შეჩერებისკენ მოუწოდებს

ჯორჯიან მანგანეზი 200-ის ნაცვლად სახელმწიფოს 7 მილიონ ლარს გადაუხდის





როდიდან გახდება ავტობანზე მანქანის დამუხტვა ფასიანი

ტაქსის მძღოლებს მანქანაში მრიცხველის დაყენების ვალდებულება ექნებათ




ISSN 1987-9385
9 771987 938006

4 თამარ ჩხეიძე: „ჩვენი პრობლემა ოკუპაციაშია და არა — აფხაზებთან და ოსებთან დაპირისპირებაში“

6 აგროსექტორში ინვესტიციების მოცულობა განახევრდა

5 სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ლიბერთი ბანკს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

3 „საქართველოს ბანკი“ გენერალური დირექტორის მოადგილემ დატოვა

# რომან გოცირიძე: „კვირიკაშვილის წერილი იყო მორიგი კაპიტულანტური შეთავაზება რუსეთისადმი“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.**

***– ბატონო რომან, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაახვია ოპოზიციამ რუსული მხარისთვის გაგზავნილი წერილის გამო. როგორ აფასებთ ამ პროცესს?***

– პრემიერ-მინისტრის განცხადება იყო სერიოზული შეცდომა! ამან საკმაოდ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოებაში. საპარლამენტო ოპოზიციას გულუბრყვილოდ ეგონა, რომ რუსეთთან დაკავშირებით მკაცრ რეზოლუციას მიიღებდა. მათ პატრიოტულ აღტკინებას ცივი წყალი გადაასხა მთავრობამ. პრემიერმა ისეთი თბილი და კაპიტულანტური „რეზოლუცია“ გამოაცხო, რომ ოცნებას სარეზოლუციო ოცნებები დაემსხვრა. ახლა ეძებენ გამოსავალს, როგორ თქვან უარი მის მიღებაზე. პირდაპირ კომედიაა.

***– ანუ რეზოლუციას აღარ მიიღებენ?***

– ეს არის არაფორმალური მმართველობის კიდევ ერთი გამოვლინება: პარლამენტმა შექმნა რეზოლუცია, ვერ ათანხმებს მთავრობასთან, სანამ მთავრობა არ შეათანხმებს ივანიშვილთან.

***– ამ წერილით ქვეყნის ინტერესები დაზიანდა?***

– ის, რომ ეს იყო სახელმწიფო ინტერესების საზიანო, გამოჩნდა თავად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხში. მათ მოიწონეს ყველა ის დებულება, რომლებიც პრემიერ-მინისტრმა გაახმოვანა თავის მიმართვაში. ფაქტობრივად, ეს ნიშნავდა მორიგ კაპიტულანტურ შეთავაზებას რუსეთისადმი. ნაცვლად იმისა, რომ რუსეთი ყოფილიყო ნაჩვენები, როგორც აგრესორი, რომელსაც ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული და რუსეთთან უნდა გველაპარაკა საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობით იმ ტონალობაში...

***– რომ არ გაქრა ამ ტონალობამ, ბატონო რომან?***

– გაქრიდა! იმ ტონალობაში, თუნდაც როგორც ესაუბრება უკრაინის ხელისუფლება და ის, რომ რუსეთთან მხოლოდ დასავლეთის მხარდაჭერით შეიძლება საუბარი და მათ შორის დასავლეთის მიერ რუსეთისადმი დაწესებული სანქციების კონტექსტში. ამას ალტერნატივა რომ არ აქვს, ჩვენ დავინახეთ. მთელი 6 წლის განმავლობაში რუსეთთან დათმობების პოლიტიკას მოჰყვებოდა, პირიქით, რუსეთის მხრიდან აგრესიული პოლიტიკა, საზღვრის გადმოწევა, მცოცავი ოკუპაციის გაგრძელება, ადამიანების გატაცება, წამება-ხოცვა და ასე შემდეგ.

ის პოლიტიკა, რომელიც თავიდანვე ივანიშვილის მიერ იყო შემოთავაზებული, რომ საქართველო არ უნდა ყოფილიყო წინააღმდეგობის საგანი დასავლეთსა და რუსეთს შორის, იყო უკიდურესად დამაზიანებელი ქვეყნის ინტერესებისათვის და ამის შედეგებს ახლა ვიმკით. სწორედ იმ განცხადების რეანიმაცია იყო კვირიკაშვილის განცხადება, ანუ მიძინებული მავნე განცხადების გაცოცხლება მოხდა, რამაც კიდევ ერთხელ მისცა რუსეთს რწმენა, რომ საქართველოსთან მხოლოდ დაშინებითა და დაცინვით შეიძლება საუბარი.

***– თქვენ რა მესიჯები ამოიკითხეთ ლავროვის უწყების საპასუხო წერილში?***



– ამ განცხადებით რუსეთმა ხელები დაიბანა, მიგვითითა, რომ ეს არის აფხაზურ-ქართული და ცხინვალის რეგიონთან საქართველოს პრობლემა და რომ ის არაფერ შუაშია, არც ოკუპანტია და, პირიქით, საქართველო სთხოვს, რომ შუამავლის როლი იკისროს. ისევ მშვიდობისმყოფელის მანტია მოვარგეთ რუსეთს, თუმცა ამას უჩვენოდაც ირგებენ. კვირიკაშვილის ამ განცხადებით ითქვა ისიც, რომ ქართული მხარე არ შეეცდება რუსეთზე ზეწოლას დასავლეთის ხელით, რაც, ბუნებრივია, ძალიან სასიხარულო იყო რუსეთისათვის. რუსეთს ეშინია მხოლოდ სანქციების. ეს სანქციები რუსეთს სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

***– ხელისუფლება ამბობს, რომ განცხადება ყველა დონეზე გაკეთდა, ამერიკიდან, ევროპიდან მოუწოდეს რუსეთს, ცხედარი გადმოეცა ქართული მხარისთვის, მაგრამ ამას რეაგირება არ მოჰყვა და სწორედ ამიტომ გადადგა კვირიკაშვილმა ეს ნაბიჯი.***

– რა თქმა უნდა, ძალიან უსიამოვნო ფაქტია, მაგრამ ეს არის საქართველოს, როგორც ქვეყნის შეურაცხყოფა და რუსეთი ამ ცხედრის გადაცემა-არგადმოცემითაც ვაჭრობს. ამით რუსეთმა დაგვანახა, თუ როგორ ახდენს რეაგირებას საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის მოთხოვნებზე. თურმე ცხედრის არგადმოცემის საკითხითაც შესაძლებელი ყოფილა საქართველოს მთავრობის დაშანტაჟება.

***– ამით დააშანტაჟა რუსეთმა ქართული მხარე?***

– დიახ. შეეშინდა ხელისუფლებას. გითხრათ, რისი შეეშინდა პრემიერ-მინისტრს?!

***– რისი?***

– იმის, რომ ცხედრის გადმოცემის გაჭიანურება დაძაბავდა ვითარებას, შესაძლოა, კვლავ გადაკეტილიყო გზები და მომხდარიყო სხვა სახის ექსცესები, შეეშინდა იმის, რომ ცხედრის საკითხში „წარმატების“ მიწერის მცდელობა უკუშედეგით დამთავრდებოდა. ამან გააკეთებინა ეს სამარცხვინო და პოლიტიკურად მეტად დამაზიანებელი განცხადება.

შედეგად მივიღეთ ის, რომ რუსეთს ვაჩვენეთ, თუ როგორი დაუცველია ქვეყანა, როგორი უპრინციპო ხელისუფლება გვყავს და როგორ შეიძლება მასზე ზეწოლის მოხდენა უმარტივესი შანტაჟის გზით. კვირიკაშვილმა კი ამით დაამთავრა თავისი პოლიტიკურ საქმიანობა.

***– კიდევ გაჭიანურდება ცხედრის გადმოცემის საკითხი?***

– ყველას ეგონა, რომ ეს მოხდებოდა ძალიან სწრაფად, ჯერ ცხედარი გადმოცემული არ იყო და ყველამ დაიწყო საკუთარი ქულების ჩაწერა და საკუთარი გამარჯვების მიწერა. ასევე რომ გავიხსენოთ ეკლესიის წარმომადგენლების განცხადებები, რომ ეს ეკლესიის დამსახურებაა და ირიბად ამით რუსეთის ეკლესიის დადებითი როლის ჩვენებაც იყო, რომ პატრიარქი კირილი რა კარგი კაცია, გულთან მიიტანა ეს ამბავი. თუმცა არავითარი მსგავსი რამ არ მოხდა, ყველას მცდელობა ამაო გამოდგა. ყველას ჩაუფლავდა მცდელობა!

***– ბევრი ფიქრობს, რომ პრემიერის წერილით ყინული დაიძვრება. ბევრი ჟენევის ფორმატზე ამყარებს იმედებს. რას იტყვით თქვენ?***

– ისტორიამ გვაჩვენა, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლება! ჟენევის ფორმატი არის ერთადერთი, სადაც რუსეთს ველაპარაკებით ჩვენს მოკავშირე ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად. საქართველოს ხელისუფლების ძალიან დიდი შეცდომა იყო, რომ ჟენევის ფორმატი, ფაქტობრივად, მოკლა და შექმნა პარალელურად აბაშიძე-კარასინის ფორმატი რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკების სახით და სწორედ ეს არის ჟენევის ფორმატის დაკნინების მთავარი მიზეზი! არ უნდა შექმნილიყო აბაშიძე-კარასინის ფორმატი. ჩვენ აუცილებლად მოგვიწევდა რუსეთთან საუბარი და ეს უნდა შემდგარიყო ჟენევის ფორმატში.

# „დეკანოზი გიორგი მამალაძე პრეზიდენტმა უნდა შეიწყალოს“

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმის განხილვა უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლებს, რის შემდეგაც დაცვის მხარე უკვე სტრასბურის სასამართლოს მიმართავს. როგორც ადვოკატი მიხეილ რამიშვილი მედიასთან აცხადებს, უზენაეს სასამართლოს მხოლოდ იმიტომ მიმართეს, რომ სტრასბურის სასამართლოსთვის მიემართათ. ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს რომ მიმართო, შენს ქვეყანაში ყველა ინსტანცია უნდა გქონდეს მოვლილი.

დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატები უზენაესში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ.

ადვოკატები უზენაესი სასამართლოსგან მოითხოვენ, რომ სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღოს. ისინი ასევე ზეპირი მოსმენის დანიშვნას ითხოვენ, რათა მხარეებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება მიეცეთ.

– სამწუხაროდ, მივედით იმ ეტაპზე, რომ ვასაჩივრებთ უზენაეს სასამართლოში აღნიშნულ საქმეს. ჩვენი მოთხოვნაა, რომ საქმე მიიღოს წარმოებაში უზენაესმა სასამართლომ. ასევე ვითხოვთ, დაინიშოს ზეპირი მოსმენა. ჩვენი მიზანია, აღსრულდეს სამართალი, თუმცა ძალიან დიდი მოლოდინი არ გვაქვს, რომ უზენაესი სასამართლო ბოლომდე თავისუფალი იქნება, – განაცხადა ინტერპრესნიუსთან საუბარში დეკანოზ გიორგი მამალაძის ერთ-ერთმა ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ.



მედიასთან საუბარში ადვოკატი იმედოვნებს, რომ უზენაესი სასამართლო წინა ორი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას დეკანოზის პატიმრობის შესახებ შეცვლის.

– უზენაეს სასამართლოს აქვს ექვსთვიანი ვადა, რათა აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილება მიიღოს. თუმცა, ჩვენ აქედანვე გვაქვს დაწყებული მზადება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქმის გასაჩივრებისათვის, – აღნიშნა გიორგი ფანცულაიამ.

სტრასბურის სასამართლოსთვის ემზადება მამა გიორგიც. ის ამის შესახებ ნიკა გვარამიას ესაუბრა. რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა ადვოკატის რანგში მოინახულა დეკანოზი მატროსოვის ციხეში.

რუსთავი 2-ის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, გვარამია მამა გიორგის მისი თხოვნით შეხვდა. დეკანოზის თხოვნა იყო, რომ რუსთავი 2-ის გენდირექტორი მასთან, როგორც ადვოკატი, ისე შესულიყო.

აღსანიშნავია, რომ გვარამიამ დეკანოზს ადვოკატობა ჯერ კიდევ გასულ წელს შესთავაზა.

შეხვედრა 2 საათს გაგრძელდა, რომლის დასრულების შემდეგ ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ დეკანოზი „სახელმწიფოსა და ეკლესიას შიგნით არსებული დაჯგუფებების მძევალია“ და მამა გიორგი მამალაძე პრეზიდენტმა უნდა შეიწყალოს.

ის დარწმუნებულია, რომ სტრასბურის სასამართლო დეკანოზის მიმართ სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანს, ამასთან, ამბობს, რომ ეს ხანგრძლივი პროცესია და სწორედ ამის გამო მიიჩნევს, რომ მარგველაშვილმა ის უნდა შეიწყალოს.

– მთლად ამას არ მოველოდი, რაც აქ გავიგე. ეს ადამიანი ქართული სახელმწიფოსა და, სამწუხაროდ, ქართული ეკლესიის შიგნით არსებული დაჯგუფებების მძევალია. ჩვენ ყველამ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ეს ადამიანი მძევლობიდან გამოვიხსნათ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ადამიანი, დეკანოზი გიორგი მამალაძე, არის ქართული სახელმწიფოს მძევალი. იგი უკანონო პატიმრობაში იმყოფება.

ჩვენ ვისაუბრეთ სტრასბურის სასამართლოსთან დაკავშირებითაც, თუმცა ეს გრძელი გზაა. დარწმუნებული ვარ, დეკანოზი მამალაძე სტრასბურში სასამართლოს მოიგებს, თუმცა, თუ ის მანამდე ციხეში დავტოვეთ, შეიძლება, კარგად არ დასრულდეს.

ეს ადამიანი ჩვენ ყველამ ერთად უნდა გავათავისუფლოთ. იგი სასჯელს იხდის იმისთვის, რაც არ ჩაუდენია, უფრო მეტიც, იგი სასჯელს იხდის იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც სხვებმა ჩაიდინეს, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

# საქართველოს 45.146 მოქალაქეს ავტომობილებზე ქონების გადასახადის გადახდა მოუწევს

საქართველოში 45.146 მოქალაქის წლიური შემოსავალი 40 ათას ლარს აღემატება.

კერძოდ, როგორც შემოსავლების სამსახურის ინფორმაციაშია აღნიშნული, 40 ათასი



ლარიდან 100 ათას ლარამდე შემოსავალი წლიურად 35, 18 მოქალაქეს, ხოლო 100 ათასი ან უფრო მეტი შემოსავალი 9.728 პირს აქვს. შეგახსენებთ, რომ ეს ის კატეგორიაა, რომელსაც მიმდინარე წელს ავტომობილებზე ქონების გადასახადის გადახდა მოუწევს. ცნობისთვის, ავტომობილის გადასახადის გადახდა 2017 წლის შემოსავლების მიხედვით მოხდება, რომლის დეკლარირებაც 2018 წლის 1 ნოემბრამდე უნდა მოხდეს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ გადასახადის წლიური განაკვეთი გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით არის დიფერენცირებული. კერძოდ, 40 ათასიდან 100 ათას ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის ავტომობილის ღირებულების არანაკლებ 0.05% და არაუმეტეს 0.2% იქნება გადასახდელი, ხოლო 100.000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის ავტომობილის ღირებულების არანაკლებ 0.8% და არაუმეტეს 1%.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გახარიას რუსეთი ლობირებს, ბახტაძეს — უტა ივანიშვილი“ — ვინ იქნება ახალი პრემიერი

შორენა მარსაგიშვილი

**რაზე ეთათბირა ივანიშვილი „ოცნების" ლიდერებს, როგორ გადაირჩინა თავი კვირიკაშვილმა დეკემბერში, რატომ იწუნებენ გახარიას კანდიდატურას, ვინ ლობირებს მამუკა ბახტაძეს? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ქართული მარშის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.**

**ლადო სადღობელაშვილი:**

– თავის ქებაში არ ჩამომართვათ, მაგრამ „ოცნების“ კულუარებიდან ერთ-ერთი პირველი მე ვიგებდი ინფორმაციებს. ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც თქვა, რომ კვირიკაშვილს ან გახარია შეცვლიდა, ან ბახტაძე. რამდენადაც ჩემთვის გახდა ცნობილი, ამ დღეებში მთავრობის რამდენიმე წევრი და „ოცნების“ ლიდერთა ნაწილი ბიძინა ივანიშვილთან სასაუბროდ შეიკრიბნენ.

როგორც მმართველი გუნდის კულუარებში ამბობენ, საუბრის მთავარი თემა მომავალი პრემიერი იყო. ივანიშვილი და მისი გუნდის ნაწილი უკვე შეთანხმებულია იმაზე, რომ მთავრობის მეთაური ან გახარია გახდება, ან ბახტაძე.

***– რომელს უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს?***

– ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, ვის რამდენი მხარდამჭერი ჰყავს. მთავარია, ვის მხარეზეა ბიძინა, რადგანაც საბოლოო გადაწყვეტილებას ის იღებს. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ამ დროისთვის ის ბახტაძის კანდიდატურას უფრო ემხრობა.

სიმართლე რომ გითხრათ, მეც მამუკა ბახტაძის გაპრემიერებას ვუჭერ მხარს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ არჩევანის გაკეთება მასა და შს მინისტრის შორის მომიხდება.

***– სულ ცოტა ხნის წინ თქვენ გიორგი გახარია მიგაჩნდათ პრემიერობის საუკეთესო კანდიდატურად.***

– კი ბატონო. თავიდან მას ვგულშემატკივრობდი, მაგრამ გახარიამ ვერ გაგვახარა. მან ვერ გაართვა თავი იმ გამოწვევებს, რომლებიც ქვეყანაშია. კრიმინალის დონე გაზრდილია და ნარკოკარტელიც კარგად გრძნობს თავს.

რაც შეეხება მამუკა ბახტაძეს, ის საზოგადოებას ნაკლებად აღიზიანებს და მის მიმართ უფრო მეტი სიმპათიებია.

***– რატომ ფიქრობთ, რომ მის მიმართ ხალხს მეტი სიმპათიები აქვს?***

– შევხედოთ სოციალურ ქსელს – ფინანსთა მინისტრს თითქმის არავინ ლანძღავს. მის მიმართ არც ოპოზიცია გამოდის კრიტიკით. გახარია კი, გარდა იმისა, რომ გამოწვევებს ვერ უმკლავდება, ზედმეტად გადაერთო პიარში.

***– ასე საკუთარ თავს ფინანსთა მინისტრიც აპიარებს.***

– აპიარებს, მაგრამ ეს ნაკლებად გამაღიზიანებელია. შინაგან საქმეთა მინისტრების მიმართ ხალხი უფრო კრიტიკულად არის განწყობილი. არც გახარია გამოდგა ამ მხრივ გამონაკლისი, თუმცა, კვირიკაშვილთან შედარებით, ის ძალიან სიმპათიურად გამოიყურება. მოქმედი პრემიერი შავ დღეშია, ფაქტობრივად, ლაფატკაზეა დადებული და აღარ იცის, რა ქნას. მის ბოლო განცხადებასაც ამ ფაქტს ვუკავშირებ. არ მეგონა, თუ ის ასე მალე მიმართავდა რუსეთს. ამის



## „დეკემბერში პრემიერი გადაყენებისგან ნიკა მელიამ იხსნა“

მაპროვოცირებელი, ჩემი აზრით, იყოს ტატუნაშვილის მკვლელობა. ამ ტრაგედიამ დააჩქარა პროცესები, რომლებიც ჩვენ ვიხილეთ ამ დღეებში.

ამ დღეებში საქართველომ ბევრი სახეცვლილება იხილა. ცოტა ხანში კიდევ უფრო ბევრი შეიცვლის პოზიციას. ვსაუბრობ „ოცნებაში“ მყოფ მოლიდერო ტიპებზე, რომლებიც მედასავლეთეებად ითვლებოდნენ. კვირიკაშვილის განცხადების შემდეგ ისინი რუსეთისადმი ლმობიერად განწყობილ ტიპებად იქცნენ.

ეს პირდაპირ მეტყველებს „ქართული ოცნების“ მსახიობურ ნიჭზე. ამ გუნდის წევრები არიან ჩვეულებრივი ქამელეონები – პარტიის ლიდერებს რა ფერზეც დასვამ, იმ ფერს მაშინვე ითვისებენ.

ბევრი რამე მაქვს ამ ცხოვრებაში ნანახი, მაგრამ მართლა პირველად ვნახე, ადამიანი ასე ადვილად იცვლიდეს პოზიციას. განსაკუთრებული აღმოჩენა იყო გია ვოლსკი, რომელმაც ერთ დღეში ისე შეცვალა პოზიცია, არც კი შერცხვა.

რამდენიმე დღე ან კვირაც მოიცადეთ და ნახავთ, როგორ აჭიკჭიკდება პარლამენტის თავმჯდომარე. ირაკლი კობახიძემ შეიძლება იმითაც კი დაიწყოს ტრაბახი, რომ ერთ დროს ოქტომბრელი და პიონერი იყო.

მოკლედ რომ ვთქვათ, მალე „ოცნების“ დიდი უმრავლესობა დაიწყებს რუსეთის ქებას, თუმცა აქაც გამოჩნდებიან ისეთები, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ წავლენ. ანდა რატომ გამოჩნდებიან, უკვე გამოჩნდა ასეთი ფლანგი. პარლამენტის ვიცესპიკერმა, თამარ ჩუგოშვილმა, ღიად დაგმო პრემიერ კვირიკაშვილის ინიციატივა. მას დეპუტატების ნაწილიც უჭერს მხარს, მაგრამ უმრავლესობის უმრავლესობა განსხვავებულ პოზიციაზეა.



დარწმუნებული ვარ, რუსეთთან დაკავშირებით ასეთი განცხადების გაკეთება თავად მთავრობის მეთაურსაც არ სურდა.

***– აბა, რატომ გააკეთა?***

– სხვა გზა არ ჰქონდა.

***– რატომ არ ჰქონდა სხვა გზა?***

– მას რომ ასეთი განცხადება არ გაეკეთებინა, „ოცნება“ ძალიან დიდი საფრთხის წინაშე დგებოდა. კვირიკაშვილი წავიდა ამ რისკზე და დამცირებულ მდგომარეობაშიც აღმოჩნდა. მის განცხადებას მოსკოვი ჯერ რამდენიმე დღის დაგვიანებით გამოეხმაურა. მათმა საგარეო საქმეთა მინისტრმა პასუხის გაცემაც კი არ იკადრა. საქართველოს პრემიერს რუსეთის საგარეო უწყების რომელიღაც დეპარტამენტი გამოეხმაურა. ეს არის საქართველოსა და მისი მთავრობის დაცინვა.

***– თქვენ დაცინვა ეძახეთ და ამ გამოხმაურებით „ქართული ოცნება“ ძალიან ბედნიერია.***

– მაგათ ოღონდ სკამები შეინარჩუნონ და, რომ აგინონ, მაგითაც ბედნიერები იქნებიან. მე ზემოთ გითხარით ერთი მიზეზი, რატომაც წავიდა კვირიკაშვილი ამ რისკზე. ამის გარდა, არის კიდევ ერთი მომენტი – საქართველოში მალე აშშ-ის ახალი ელჩი ჩამოვა.

***– ახალი ელჩი რა შუაშია?***

– თავშია. ის ჩამოიტანს თავისი ქვეყნიდან ამბავს, რომ ამერიკას საქართველო ძველებურად აღარ აინტერესებს. ჩვენ არ გვაქვს ისეთი ძლიერი სახელმწიფო, რომ დამოუკიდებლად თამაში შევძლოთ და იძულებული ვართ, ვიღაცას მივეტმასნოთ. ასე მგონია, დასავლეთიდან მოსულია მითითება, რომ რუსეთს უნდა ავეტმასნოთ.

მოდით, პირდაპირ ვთქვათ ისიც, რომ კვირიკაშვილი ამ განცხადებას საკუთარი ინიციატივით არ გააკეთებდა. ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, ვისი დავალებით გაკეთდა ეს განცხადება.

***– ვისი დავალებით?***

– ივანიშვილის. გააკეთებინა ამ ადამიანს განცხადება და ახლა სახლში უშვებს. ჩვენ, ფაქტობრივად, ხელის შეწმენდის პროცედურა ვიხილეთ – ბარემ მიდიხარ და მოდი, ესეც თქვი და ისე წადი. ეს არის და ეს.

სხვათა შორის, მისი წასვლა გაცილებით ადრე იყო დაგეგმილი – თანამდებობა გასული წლის ბოლოს უნდა დაეტოვებინა, მაგრამ მაშინ მელიამ გადაარჩინა.

***– რომელმა მელიამ?***

– ნაციონალების მელიამ. ნიკა მელია მყავს მხედველობაში, რომელსაც პრემიერმა კეთილები აგინა. ახლა რომ ვფიქრობ, მაშინ მთავრობის მეთაური წყობილებიდან სულაც არ გამოსულა და შეგნებულად აგინა მელიას.

***– რას ნიშნავს, შეგნებულად აგინა?***

– იმას, რომ იცოდა, ამის შემდეგ პოსტიდან ასე ადვილად აღარ გაუშვებდნენ.

***– მელიას გინება ინდულგენციაა?***

– არა, მაგრამ ხალხი იტყოდა, იმიტომ გაუშვეს, რომ ნაციონალს აგინაო, რაც პრემიერის მიმართ მოსახლეობის სიმპათიებს გაზრდიდა. ახლა ისეთი განცხადება გააკეთა, რომ მისი წასვლა გულს არავის დასწყვეტს.

***– მოდით, ისევ მთავრობის მეთაურის სავარაუდო შემცვლელს დავუბრუნდეთ. რაზეა დამოკიდებული, ვინ გახდება პრემიერი? ერთხელ თქვით, ივანიშვილი გადაწყვეტილებებს ხშირად იმის მიხედვით იღებს, რომელ ფეხზე გაიღვიძებსო.***

– ასე ხშირად ხდება, მაგრამ ამჯერად მარტო იმის მიხედვით არ იმოქმედებს, თუ რო-



## ლადო სადღობელაშვილი: „მალე ირაკლი კობახიძე იმით დაიწყებს ტრაბახს, რომ ოქტომბრელი იყო“

მელ ფეხზე ადგა. აქ ცოტა უფრო სერიოზულად არის საქმე. მას გახარიაც ესიმპათიურება და ბახტაძეც. ეს უკანასკნელი მისი შვილის – უტას მეგობარია. გიორგი გახარია კი რუსული პროდუქტია. ის „ოცნების“ დამფუძნებელმა საკვანძო თანამდებობაზე მოსკოვის მითითებით დასვა.

***– ზემოთ თქვით, საქართველო რუსეთს უნდა მიეტმასნოსო და, თუ ეს უკვე გადაწყვეტილია, რატომ არ ნიშნავს ივანიშვილი პრემიერად გახარიას, რომელიც, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთის კადრია.***

– სწორედ რუსულმა ბეგრაუნდმა გაუფუჭა ამ ეტაპზე გახარიას საქმე. დღეს თუ ის პრემიერი გახდა, ეს ოფიციალურად ნიშნავს იმის აღიარებას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ რუსული კურსი აირჩია. ამას ისედაც ყველა ამჩნევს, მაგრამ მმართველ ძალას მისი გაოფიციალურება არ სურს. ამის დემონსტრირება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოხდება. სწორედ მაშინ ვიხილავთ გახარიას პრემიერად.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს გადაწყვეტილება ახლაც იქნეს მიღებული. ივანიშვილს ხშირად შეუცვლია უკვე მიღებული გადაწყვეტილებები.

ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველო ისევ სხვა ქვეყანაზე იქნება დამოკიდებული. ზვიად გამსახურდიას შემდეგ საქართველოს ეროვნული ხელისუფლება და პარტიები აღარ ჰყოლია. ზოგი პარტია პროდასავლურია, ზოგი – პრორუსული. პროეროვნულობა არავის სურს.

დაახლოებით ასეთივე ვითარება იყო ევროპაშიც. იქაც ასე იყვნენ პარტიები – პროამერიკულები და პრორუსულები. ტრამპის მოსვლის შემდეგ ევროპაში ნაციონალისტური ძალები გაძლიერდნენ. იმედი მაქვს, საქართველოშიც ასე მოხდება.

უკვე დროა, ამ ქვეყანაშიც გაიღვიძონ ეროვნულმა ძალებმა, თორემ, ისე წაგვივიდა საქმე, ბათუმში ქუჩას დავით აღმაშენებლის სახელს ვერ არქმევენ.

***– ბათუმში არ არის აღმაშენებლის ქუჩა?***

– არის, მაგრამ სადღაც ქალაქის ბოლოს – ხოფას ბაზრობასთან. ბათუმი ერთადერთი ქალაქია საქართველოში, სადაც ცენტრალური ქუჩა აღმაშენებლის სახელობის არ არის.

***– ამით აღმაშენებელს არაფერი აკლდება.***

– იმას ვერ დააკლდება, მაგრამ ჩვენ გვაკლდება. ჩვენ ამ საკითხის ასე დატოვებას აღარ ვაპირებთ და აქტიურ მოქმედებებზე გადავალთ. ქართული მარში ბათუმში დავით აღმაშენებლის ძეგლის დადგმასაც ვითხოვთ, მაგრამ ამაზე ბათუმის მერია და საკრებულო უარს ამბობენ.

***– მოტივი?***

– მიზეზად თანხების უქონლობას ასახელებენ.

***– იქნებ მართლა არა აქვთ თანხა?***

– 70.000 ლარს ბათუმელი ჩინოსნები დანამატების სახით იღებენ წელიწადში და აღმაშენებლის ძეგლისთვის არა აქვთ ფული? ჩვენ დავაანგარიშებინეთ და გვითხრეს, რომ 70.000 ლარი საკმარისია 5-მეტრიანი ძეგლის დასადგმელად.

როცა ამ ინიციატივით გამოვედით, რამდენიმე მოქანდაკე დაგვიკავშირდა და გვითხრა, რომ ისინი უსასყიდლოდ გააკეთებენ ამას. მხოლოდ მასალისთვის არის ფული საჭირო. ამ თანხის ნაწილსაც რამდენიმე ბიზნესმენი დაფარავს.

მიმდინარე წლის 16 მარტს გაიმართება ბათუმის საკრებულოს სხდომა, სადაც ეს საკითხი უნდა განიხილონ. ჩვენ, ქართული მარში, აუცილებლად დავესწრებით ამ სხდომას და ერთი ვნახავთ, როგორ გვეტყვიან უარს.

***– აქციის გამართვას აპირებთ?***

– არანაირი აქცია და ხმაური. ჩვენ მოვითხოვთ ბათუმის საკრებულოს სხდომაზე დასწრებას. საკრებულო თუ უარს იტყვის, მერე სათანადოდ ვიმოქმედებთ.

## „საქართველოს ბანკი“ გენერალური დირექტორის მოადგილემ დატოვა



ალექსანდრე კაცმანმა „საქართველოს ბანკი“ დატოვა.

არსებული ინფორმაციით, საშა კაცმანი მთავრობის ადმინისტრაციაში იწყებს მუშაობას, სადაც საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებას უხელმძღვანელებს.

კაცმანი ბანკის დირექტორატის წევრი იყო, გენერალური დირექტორის მოადგილე და მარკეტინგის და HR დეპარტამენტებს კურირებდა.

საშა კაცმანს მარკეტინგის მიმართულებით დიდი გამოცდილება აქვს. „საქართველოს ბანკის“ გუნდში 2010 წლიდან ირიცხებოდა.

საშა კაცმანი 2010 წლიდან საქართველოს ბანკის ბრენდის მართვის დეპარტამენტის დირექტორია. 1999 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, სპეციალობით სამართალმცოდნეობა. 2004 წელს მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 2009 წელს ასევე დაამთავრა EMBA კრეატიული ლიდერშიპი ბერლინის კრეატიული მართვის სკოლაში, Steinbeis University Berlin. 1996 წლიდან საშა კაცმანი სხვადასხვა კომპანიაში წამყვან მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობდა. 2002 წლიდან საშა პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა.

# თამარ ჩხეიძე: „ჩვენი პრობლემა ოკუპაციაშია და არა — აფხაზებთან და ოსებთან დაპირისპირებაში“

მარიამ მჭედლიშვილი



**მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.**

**თამარ ჩხეიძე:**

— რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხი ვითარების შესაბამისია. კრემლმა მოიწონა საქართველოს პრემიერის მიმართვა. რუსეთმა მორჩილ კვირიკაშვილს თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა, სწორად გაიგე სიტუაციაო. საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმართვა რუსეთის ხელისუფლებისადმი ანტისახელმწიფოებრივი და არაადეკვატური იყო. ის გაკეთდა არჩილ ტატუნაშვილის ტრაგედიის ფონზე – მაშინ, როცა ოკუპანტმა კიდევ ერთხელ დაგვცინა. გიორგი კვირიკაშვილმა გაახმოვანა ის, რასაც რუსეთი წლების განმავლობაში ნერგავს. კრემლის გზავნილებით, ქართველებს პრობლემები აქვთ აფხაზებთან და ოსებთან. რუსეთი არაფერ შუაშია. მოსკოვი, როგორც „კეთილი შუამავალი და გამშველებელი“, მზადაა, ხელი შეუწყოს ქართველების დიალოგს აფხაზებთან და ოსებთან და გააშველოს მხარეები.

***— რუსეთი, როგორც საქართველოსთან დაპირისპირებული მხარე და ოკუპანტი, აქ არ იკვეთება?***

— ეს არის რუსეთის მიდგომა, რასაც დაეთანხმა კვირიკაშვილი. აფხაზებთან და ოსებთან უნდა ვილაპარაკოთ. ამ შემთხვევაში გვთავაზობენ ურთიერთობას არა ხალხთან, არამედ, საოკუპაციო რეჟიმების მოხელეებთან. ამ რეჟიმებს ეთნიკური წმენდა აქვთ ჩატარებული და კაცობრიობის საწინააღმდეგო დანაშაულები აქვთ ჩადენილი. დღეს ტატუნაშვილის მკვლელობის კვალდაკვალ გვეუბნებიან, რომ ქართველები და აფხაზები, ქართველები და ოსები, რომლებიც ჩხუბობენ, ერთმანეთს უნდა დაელაპარაკონ რუსეთის მეთვალყურეობით. ამას მოითხოვს „პატრიოტთა ალიანსიც“.

ჩვენი პრობლემა ოკუპაციაშია და არა — აფხაზებთან და ოსებთან დაპირისპირებაში. ამ მოვლენებით ხდება ოკუპაციის გათეთრება და დაკანონება. ამ ხელისუფლებამ თავიდანვე აირჩია მიუღებელი და კაპიტულანტური პოლიტიკა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოგვარების საკითხში. ეს მიდგომა გრძელდება.

***— შესაძლოა, რომ რუსეთს ამ მხრივ უფრო მეტის მიღწევა უნდოდეს?***

— საშიშროება არსებობს. საოკუპაციო რეჟიმების მხარეებად აღიარება უკვე ხდება. შემდგომ ნაბიჯად, ალბათ, ჩაფიქრებულია უარესი. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ცნოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა. ასეთი გეგმა არსებობს. უნდა მოხდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება. ამისთვის შემოთავაზებული იქნება ხელშეკრულების ფორმა. ეს რეგიონები ხელშეკრულებით გაერთიანდებიან დანარჩენ საქართველოსთან, შემდეგ კი გამოვლენ ხელშეკრულებიდან. დღეს მსოფლიო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რომელიც საეჭვო გახდება ამ სცენარის განვითარების შემთხვევაში.

ამ საკითხებთან მიბმულია ასევე რკინიგზის თემა. რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის ამუშავება დიდი ხანია, რუსეთის მიზანს წარმოადგენს. „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნებმა ამაზე ადრე რამდენიმე განცხადება გააკეთეს. ეს ნიადაგის მოსინჯვა იყო.

***— გიორგი კვირიკაშვილმა გამოთქვა მზადყოფნა, ჩაერთოს ჟენევის დისკუსიებში.***

— ეს უფრო მოჩვენებითი ფრაზაა სიტუაციის გამოსასწორებლად. სწორი პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველოს დელეგაციამ ჟენევის მოლაპარაკებებში. იქნება თუ არა იქ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ამით არაფერი წყდება.

***— პრემიერის მიმართვის შემდეგ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ პარლამენტმა ტატუნაშვილის საკითხზე მკაცრი რეზოლუცია მიიღოს?***

— რა თქმა უნდა. რეზოლუციის მიღება უკვე ჩიხშია შესული. მოხდა პროცესის გაჭიანურება. ბოლოს მიიღებენ იმას, რაც ივანიშვილს უნდა.

***— საქართველოსა და რუსეთის პირველი პირების შეხვედრაც ხომ არ მზადდება? თქვენ როგორი შთაბეჭდილება გრჩებათ?***

— ეს დადგება დღის წესრიგში მაშინ, თუ მანამდე რუსეთმა თავისას მიაღწია. იმაზე, თუ რა გეგმები აქვს კრემლს, ვისაუბრეთ. თუ მოსკოვმა ჩათვალა, რომ ყველაფერი შეთანხმებულია, მოითხოვს შეხვედრას.

***— საქართველოს საზოგადოება როგორ შეხვდება შესაძლო ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯებს?***

— არჩილ ტატუნაშვილის მიმართ ჩადენილია ამაზრზენი დანაშაული. საუბედუროდ, ამგვარი ფაქტები ადრეც ყოფილა. ამ ბოლო შემთხვევაში საზოგადოება უფრო ადეკვატური და აქტიური იყო. შედარებით ადეკვატურობაზე ვლაპარაკობ, თორემ უკეთესი იქნებოდა უფრო მძლავრი პროტესტი. ადრე საზოგადოება ამგვარადაც არ რეაგირებდა მომხდარზე. ეს მაინც იმედისმომცემია. ხალხს შესაბამისი დამოკიდებულება ჰქონდა ასევე ინტელიგენციის ნაწილის პრორუსულ წერილზე, რომელიც ტატუნაშვილის ტრაგედიის დროს გამოქვეყნდა.

***— ამ წერილის მიზანი რა იყო?***

— საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება. ინტელიგენციის ეს წერილი სიყალბით იყო გაჯერებული. ამ ხალხმა საქართველოს ყველა უბედურება ნატოსკენ სწრაფვას დააბრალა. არადა, ყველამ იცის, რომ რუსეთი საქართველოს იპყრობდა მაშინ, როცა ნატო არ არსებობდა, როცა საქართველო ნეიტრალიტეტზეც თანახმა იყო. დათმობებს კარგი არაფერი მოუტანია. რაც უფრო ქვეშევრდომულად ეჩვენები რუსეთს, უფრო დაგიპყრობს.

ამ ინტელიგენციამ ხალხის შეცდომაში შეყვანა ნატოში გაწევრიანებითაც ცადა. არის იდეა, რომ საქართველო ნატოში დათქმით შევიდეს. საუბარია იმაზე, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე მეხუთე მუხლი ვერ ამოქმედდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ამ წერილის ავტორებმა გამოაცხადეს, თითქოს საქართველო უარს ამბობს თავის ტერიტორიებზე. მათი თქმით, ქვეყანა მთლიანად ნატოში შედის მეხუთე მუხლის გარეშე. კარგია, რომ საზოგადოება დაუპირისპირდა ამ ტყუილებს. ამის გამო პრორუსულმა ინტელიგენციამ თავის მიზანს ვერ მიაღწია.

# ლაშა ჩხარტიშვილი: „კალაძე პოზიციების გამყარებას ცდილობს“

## რას აკეთებდა „სითი პარკი“, იმის გარდა, რომ მოქალაქეებს აჯარიმებდა?!

ნათია ხურცილავა

**უფლებადამცველი, ეკოლოგი ლაშა ჩხარტიშვილი, „ახალ თაობასთან" ინტერვიუში თბილისის მერის კახა კალაძის იმ გადაწყვეტილებაზე საუბრობს, რომლის მიხედვითაც, 10 აპრილიდან კომპანია „სითი პარკს" ხელშეკრულება შეუწყდება.**

***— თბილისის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 10 აპრილიდან ხელშეკრულება შეუწყვიტოს კომპანია „სითი პარკს.“ როგორც ჩანს, კალაძე წინასაარჩევნო დაპირებას ასრულებს. როგორ უნდა შეირჩეს ახალი კომპანია და რა გამოწვევების წინაშე დგას ახალი კომპანია?***

— „სითი პარკთან“ დაკავშირებით დაპირება ყველა მერს ჰქონდა, ვინც კი უგულავას შემდეგ იყო თბილისის მერი. სხვათა შორის, კახა კალაძე დღემდე, როგორც ვიცი, „ქართული ოცნების“ წევრია და გაუგებარია, მისმა წინამორბედმა, ბატონმა ნარმანიამ, რომელსაც ასევე ჰქონდა წინასაარჩევნო დაპირება, რომ „სითი პარკთან“ გაწყვეტდა ხელშეკრულებას, რატომ არ შეასრულა ეს დაპირება?! ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, მაგრამ პოლიტიკაში, არ მგონია, ეს მომგებიანი გამოთქმა იყოს. თუმცა, მე სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ახალი კორუფციული გარიგება არ დაიდება ახალ კომპანიასთან.

***— კალაძის განმარტებით, 10 აპრილიდან, პარკირების ახალი სისტემის ჩამოყალიბებამდე, „სითი პარკის“ ფუნქციებს თბილისის სატრანსპორტო კომპანია განახორციელებს. ახალი კომპანიის შერჩევა როგორ უნდა მოხდეს?***

— ახალი კომპანიის შერჩევა უნდა მოხდეს გამჭვირვალე და ობიექტური კონკურსის შედეგად. ახალმა კომპანიამ რეალურად უნდა შეასრულოს ის პირობები, რომელიც ხელშეკრულებით იქნება გაწერილი. ცხადია, ხელშეკრულების პირობების გაწერაზე დედაქალაქის მერიამ უნდა იზრუნოს, რომელიც რეალურად, არსობრივად განსხვავებული უნდა იყოს „სითი პარკის“ პირობებისგან. რას აკეთებდა „სითი პარკი“, არაფერს, გარდა იმისა, რომ მოქალაქეებს აჯარიმებდა.

***— ხელშეკრულებაში იყო ჩადებული, რომ კომპანიას საპარკინგე ადგილები უნდა მოეწყო, განევითარებინა...***

— ეს კი იყო ხელშეკრულებაში ჩადებული, მაგრამ მის შესრულებას არავინ არ სთხოვდა და ამიტომ იყო ის ვითარება, რა ვითარებაც გვქონდა. ამიტომ ახალმა კომპანიამ არა მხოლოდ ფული უნდა კრიფოს მოსახლეობისგან, არამედ საპარკინგე სისტემა უნდა განავითაროს და მოქალაქეებს სრულყოფილად უნდა მოემსახუროს. თუ პარკირების პრობლემა არ გადაიჭრა, მაშინ პრობლემა რეალურად არ მოგვარდება. თავისთავად კარგია, რომ „სითი პარკთან“ ხელშეკრულების გაწყვეტა და კომპანიის გაყვანა მოხდა, რადგანაც ჩვენი მოქალაქეებისთვის პირდაპირ სადამსჯელო რაზმად იქცა ეს კომპანია. ამიტომ მათი გაყვანა აქამდეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ახლა მთავარია, ვინ ჩაანაცვლებს მას და რა ფუნქციები დაეკისრება ახალ კომპანიას, შემდეგ უკვე რამდენად ჯეროვნად შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

***— მერიაში ირწმუნებიან, რომ ხელშეკრულების ცალმხრივად გაწყვეტის გამო მერია საჯარიმო თანხას არ გადაიხდის. როგორც ხმალაძე განმარტავს, მერია პირგასამტეხლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიხდიდა, თუ ხელშეკრულებას უსაფუძვლოდ გაწყვეტდა. მართლაც ასეა?***

— მე არ გამოვრიცხავ, რომ კალაძე ცდილობს პოზიციების გამყარებას, იმიჯის შექმნას, რომ ის დანაპირებს ასრულებს, ეს საერთოდ არ გამიკვირდებოდა, ასეც რომ იყოს, მაგრამ რამდენად რეალურია, რომ პირგასამტეხლოს გადახდა არ მოგვიწევს, ეს არ ვიცი. მე რამდენადაც მახსოვს, თავის დროზე ნარმანიას არგუმენტად სწორედ ეს მოჰყავდა, რომ ძალიან დიდი თანხა გვექნება გადასახდელი თუ ხელშეკრულებას ცალმხრივად გავწყვეტთო. ახლა რა შეიცვალა, არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. თუ მართლაც ასეა და არაფრის გადახდა არ მოგვიწევს, ძალიან კარგი, მაშინ კითხვა ჩნდება, აქამდე რატომ არ გავწყვიტეთ ხელშეკრულება, სანამ მთლიანად არ დააყაჩაღა „სითი პარკმა“ ჩვენი მოქალაქეები, რა, ამას ელოდნენ?!

***— ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ ახალი სამსახურის, ახალი ბიუროკრატიის შექმნა არ არის საჭირო. ეთანხმებით?***

— ამ ტიპის კომპანია ყველა შემთხვევაში საჭირო იქნება, ოღონდ პირობები უნდა იყოს გაწერილი და შემდეგ მის კეთილსინდისიერად აღსრულებაზე მერიამ უნდა იზრუნოს. ახალი კომპანიის პირველი მოვალეობა უნდა იყოს პარკირების ადგილების მოწყობა და ორგანიზება და არა მოქალაქეების დაყაჩაღება.

***— უცხოური უნდა იყოს თუ ქართული?***

— თუ ქართული ალტერნატივა იარსებებს, რომელიც დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, რა თქმა უნდა, ქართული ჯობია, მაგრამ თუ უცხოური კომპანია იქნება, რომელიც კეთილსინდისიერად შეასრულებს ჩადებულ მოვალეობას, იყოს უცხოური, რადგან სერიოზულ პრობლემებზეა საუბარი. არაერთი გვინახავს ჩრდილიდან მოყვანილი კომპანიები, რომლებიც სახელდახელოდ იქმნებიან გარკვეული მიზნებისთვის, თუნდაც ჰესებთან დაკავშირებით შემიძლია იგივე ვთქვა. იმედია, იგივეს არ გააკეთებს კალაძე, რასაც ჰესებთან დაკავშირებით აკეთებდა.

გამჭვირვალე და ობიექტური ტენდერის საფუძველზე უნდა მოხდეს ღირსეული კომპანიის შერჩევა, ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე.

***— ალბათ 50-წლიანი ვადით არ უნდა იყოს შემოყვანილი...***

— მეც ასე ვფიქრობ, რომ უფრო მოკლევადიანი ხელშეკრულება უნდა დაიდოს. ალბათ გარკვეული გამოსაცდელი ვადაც უნდა იყოს განსაზღვრული, რადგან ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე ვსაუბრობთ, ეს ეხება დედაქალაქს, მისი პარკირების სისტემების მოწყობას და გამართვას. რა თქმა უნდა, მხოლოდ პარკირება არ არის თბილისში პრობლემა, პრობლემა ძალიან მასშტაბურია. ტრანსპორტის მხრივ თბილისში უმძიმესი ვითარებაა დღეს.

***— განტვირთვა როგორ უნდა მოხდეს, რა მიმართულებით უნდა გადაიდგას ნაბიჯი?***

— საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება არის ერთადერთი გამოსავალი. მაღალი დონის, კეთილმოწყობილი საზოგადოებრივი ტრანსპორტი არის არსებული უმძიმესი ვითარებიდან გამოსავალი, როგორც ეს არის ევროპის დედაქალაქებში. ტაქსების წინააღმდეგ გამოცხადებული ბრძოლა კი, კორუფციულ ინტერესებს უფრო ატარებს, ვიდრე პრობლემის რეალურად მოგვარების სურვილს თუ კეთილი ზრახვების არსებობას. მე ვურჩევდი კალაძეს, რომ თავი დაანებოს ტაქსების წინააღმდეგ გამოსვლას, რადგან ჩვენ გვაქვს გამოცდილება, როდესაც წინა ხელისუფლებამ სამარშრუტო ხაზებიდან კერძო მფლობელები განდევნა და რა მივიღეთ? უკეთესი მომსახურეობა ნამდვილად არ მიგვიღია.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება არის ერთადერთი გამოსავალი, სადაც დღეს უმძიმესი ვითარება გვაქვს და თავი დაანებონ



გაურკვეველი, დაუსაბუთებელი ესტაკადების მშენებლობაზე საუბარს, რადგან ესტაკადები ქალაქს არ განტვირთავს. ეს ყველაფერი ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის კონტექსტში უნდა განიხილონ და არა ცალკე ამოგლეჯილად.

ამ მიმართულებით დედაქალაქში სერიოზული პრობლემებია, ვნახოთ, რა ნაბიჯებს გადადგამს კალაძე და რამდენად ეფექტური იქნება.

# როგორ უნდა განასხვაოს მყიდველმა ცხენის ან ვირის ხორცი საქონლისგან

## რატომ არის ქართულ ბაზარზე ხორცის დეფიციტი



გასულ კვირას ამბები.გე თბილისში, კერძოდ, გლდანის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილ დახლებზე ცხენის ხორცით სავარაუდოდ ვაჭრობაზე წერდა. ამ საკითხით ერთ-ერთი ინტერნეტმომხმარებლის მიერ გამოქვეყნებული პოსტის შემდეგ დავინტერესდით. საუბარი იყო იმაზე, როგორ ხოცავენ გლდანში ცხენებს და საქონლის ხორცად ასაღებენ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შეტყობინება არ მიუღიათ, თუმცა გლდანში ცხენის ხორცის რეალიზაციის ფაქტები აქამდე დაფიქსირებულა, რასაც სააგენტოს მხრიდან შესაბამისი რეაგირება მოჰყვა.

თეა შველიძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:

— სურსათის ეროვნულ სააგენტოს არცერთი შეტყობინება, სოციალურ ქსელში გავრცელებულიც კი, არ დაუტოვებია რეაგირების გარეშე. როდესაც ინტერნეტმომხმარებელს აქვს ასეთი ფაქტი, მისი ვალდებულებაც არის, დარეკოს სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხელ ხაზზე და დატოვოს შეტყობინება. თუ მომხმარებელი ითანამშრომლებს ოფიციალურ უწყებებთან, არავინ დატოვებს მომხდარს რეაგირების გარეშე. როგორც აღნიშნეთ, საუბარია გლდანის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ანუ იქ არსებულ გარევაჭრობაზე. გეტყვით, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო აკონტროლებს რეგისტრირებულ ბიზნესოპერატორებს.

***— ვინ აკონტროლებს აგრარულ ბაზარს?***

— აგრარული ბაზრის შემოწმების შესახებ სისტემატურად ვავრცელებთ ინფორმაციას. ხორცის კონტროლი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რადგანაც ის მაღალი რისკის სურსათს მიეკუთვნება და მნიშვნელოვანია, დაცული იყოს შენახვისა და რეალიზაციის პირობები. რაც შეეხება ცხენის ხორცს, გეტყვით, რომ მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრირებულ ბიზნესოპერატორებს ვამოწმებთ, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, გასულ წელს, 500 კილოგრამზე მეტი ცხენის ხორცი გამოავლინა გლდანის მიმდებარე ტერიტორიაზე. როდესაც მსგავსი დარღვევის ფაქტი ფიქსირდება, სააგენტო სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად კოორდინირებულად მოქმედებს.

მაგალითად, იყო ასეთი ფაქტიც, როცა სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის სპეციალისტებმა აგრარული ბაზრები და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ხორცის საბითუმო სარეალიზაციო ობიექტები შეამოწმეს. შემოწმების შედეგად, ერთ ტონამდე დაუდგენელი წარმომავლობის ხორცი აღმოაჩინეს, რომელსაც არ ახლდა ვეტერინარული მოწმობა „ფორმა №2?. დარღვევებისთვის 3 ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა. დაუდგენელი წარმომავლობის ხორცს რეალიზაციიდან იღებენ და სურსათის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობით ანადგურებენ. ასე რომ, თუკი ვინმეს აქვს მსგავსი ფაქტი, შეუძლია, სურსათის ეროვნულ სააგენტოს ცხელ ხაზზე 1501-ზე შეტყობინება დატოვოს, — ამბობს სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი.

როგორ უნდა ამოიცნოს მომხმარებელმა ცხენის ან ვირის ხორცი და როგორ განასხვაოს საქონლის ხორცი საკვებად უვარგისი ხორცისგან?

ამბები.გე ინდმეწარმე არჩილ დალაქიშვილს დაუკავშირდა, რომელიც თბილისის ზოოლოგიურ პარკს ცხენისა და ვირის ხორცით ამარაგებს.

ინდმეწარმე თეთრიწყაროში ცხვარ-ძროხასაც ინახავს, ზოოლოგიურ პარკთან კი ხელშეკრულება ცხენისა და ვირის ხორცით მომარაგებაზე აქვს დადებული და საქონლის ხორცი ნაკლები რაოდენობით შეაქვს. ტენდერი რამდენჯერმე მოიგო:

— თავიდან ეს საქმე გამიჭირდა, მაგრამ მერე ხალხმა გამიცნო და ახლა უკვე თავად მოჰყავთ ჩემთან პირუტყვი. მთელი საქართველოს მასშტაბით, ცხენის და ვირის ბევრი მომწოდებელი გვყავს — გლეხებისგან ვიძენთ, ჩვენთან ჩამოჰყავთ, სასაკლაოში. დაკლული ხორცი კი უკვე ზოოპარკში შეგვაქვს.

***— თქვენი მომწოდებლები ცხენს და ვირს სპეციალურად თქვენთვის აშენებენ?***

— არა. ვთქვათ, ცხოველი დაბერდა, ან ფეხი მოტყდა, ან არ მუშაობს — მხოლოდ ასეთები. მთავარია, ჯანმრთელი იყოს. წლების წინ პირუტყვი კერძო სასაკლაოებში იკვლებოდა. ახლა რომ დაიკლას, სურსათის სააგენტოს მიერ მინიჭებული სპეციალური საშვი უნდა ჰქონდეს. ბოლო დროს ვარკეთილშია ასეთი სასაკლაო, რომლითაც ვსარგებლობთ.

***— დასაკლავ პირუტყვს თუ უტარდება შემოწმება?***

— კი, უტარდება და მას მალეინიზაცია ჰქვია. თუ რამე დაავადება აქვს, ამ პროცედურის საშუალებით ვლინდება — თვალში სპეციალურ სითხეს უწვეთებენ და 24 საათის განმავლობაში ვლინდება. ამ საქმეს სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები ატარებენ. დაავადება სხვადასხვა სიმპტომით გამოიხატება, მათ შორის, თვალზე ცრემლდენით (სპეციფიკური სიმპტომებია) და ასეთი ცხოველი ნადგურდება, დანარჩენი სახორცედ დაიკვლება და თბილისის ზოოლოგიურ პარკს მოეწოდება.

***— ბოლო დროს საუბარია იმაზე, რომ გლდანის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხენისა და ვირის ხორცს ყიდიან და მომხმარებელს ძროხის ხორცის სანაცვლოდ სთავაზობენ.***

— ამ ამბით მეც შეწუხებული ვარ. ამას არაკეთილმოსურნე ყასბები აკეთებენ — სოფლებში დადიან, დიდი რაოდენობით ცხენები იკვლება, მეტიც, იკვლება ასეთივე რაოდენობით ვირი და ის ადამიანის საკვებ ხორცად საღდება. იცით, ეს რამ გამოიწვია? ჩვენი ქვეყნიდან ახალგაზრდა საქონელი გადის არაბეთში, აზერბაიჯანში, ირანში. ეს აქ ხორცის დეფიციტს ქმნის. უცხოეთში ახალგაზრდა საქონელი გაჰყავთ, საკვებად ბებერი ძროხა გვრჩება, უვარგისი ხორცი, გამხდარი. ცუდია, რომ ამ ხორცით ის კვებითი დაწესებულებები მარაგდება, სადაც ხორცს მოიხმარენ და რაც ყველაზე ცუდია, რადგან სხვა არჩევანი არ არის, საბავშვო ბაღებშიც შედის. ყასბებს ერთი კილოგრამი ცხენის ხორცის შეძენა 5 ლარი უჯდებათ, რომელსაც შემდეგ 12 ლარად ყიდიან (იგებენ 7 ლარს). გაჭირვებული მომხმარებელი კი ყიდულობს.

ცხენისა და ვირის ხორცი ერთი-ორჯერ რომ ნახოთ, ძროხის ხორცში აღარ აგერევათ. საქონლის ხორცისგან განსხვავდება, მუქი ვარდისფერი შეფერილობა აქვს, სუნიც განსხვავებულია, პრიალა ცხიმი აქვს. მინდა, ყველას მივმართო და ვთხოვო, ვისაც ეხება, რომ ბაზრები, სასაკლაოები უფრო მეტად გაკონტროლდეს.

**ამბები.გე**

# რომან კაკულია საპენსიო რეფორმაზე: „გრძელვადიან პერსპექტივაში ბიუჯეტი ამგვარ წნეხს ვერ გაუძლებს“

დაგროვებითი საპენსიო სისტემის თაობაზე მთავრობის საკანონმდებლო პაკეტმა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წარმომადგენლებისგან მხარდაჭერა ვერ მიიღო. კომიტეტს მთავრობის ინიციატივასთან დაკავშირებით შენიშვნები აქვს, რომელსაც საკუთარ დასკვნაში ასახავს. შენიშვნები ძირითადად პროექტის იმ ნაწილს ეხება, რომელიც საინვესტიციო პოლიტიკასა და ეროვნული ბანკის ჩართულობის ხარისხს უკავშირდება.



პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია:

— რისკი, რომელზეც მე ვსაუბრობ ამ კანონპროექტის კონტექსტში, საინვესტიციო პოლიტიკაა.

საინვესტიციო პოლიტიკა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი და პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივების დაცულობის ხარისხთან. ფონდს სანდოობა მაშინ ექნება, როდესაც საინვესტიციო პოლიტიკასთან მიმართებით კონკრეტული საზომი ექნება საზოგადოებას. მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან სტიმულს დამატებითი სარგებლის მიღების შესაძლებლობა წარმოადგენს, რამაც უნდა დაარწმუნოს იგი, ჩაერთოს/დარჩეს დაგროვებით საპენსიო სქემაში, — აცხადებს კაკულია.

მისივე ინფორმაციით, ადამიანებმა, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროცესში, უნდა იცოდნენ, რომ მათი არჩევანი სწორია, უნდა იცოდნენ, რა ტენდენციებით ვითარდება ფონდი და რა რისკის გაღება უწევთ.

— გონივრული რისკი უნდა იყოს საზოგადოებისთვის და ამიტომაც ვუწოდებ მე ამ პროცესს ერთობლივი რისკის პროექტს. საზოგადოებას რისკი რომ უღირდეს, გონივრული საზომი უნდა შევთავაზოთ.

თუ დავაკვირდებით საპენსიო ასაკის ადამიანების სტატისტიკას 2000-დან 2030 წლამდე, თითქმის 400-500000 იზრდება მათი რაოდენობა. 800.000 ადამიანი არის დღეს საკონტრაქტო შრომით დაკავებული. ეს საკითხი აუცილებლად გადასაწყვეტია, რადგან ბიუჯეტი ვერ გაუძლებს ამგვარ წნეხს გრძელვადიან პერსპექტივაში. გამოსავალი უნდა მოიძებნოს, — აცხადებს კაკულია.

მისი განცხადებით, ინფლაციის რისკის დაზღვევა არის ეკონომიკური განვითარება, რომლის დადებითი ტენდენციები გვაქვს და ასეთია თუნდაც ინფორმაცია, რომელიც ინვესტიციებთან მიმართებით გამოქვეყნდა.

როგორც კაკულია განმარტავს, სხვა საკითხია, რამდენად არის საკმარისი ეს დადებითი ტენდენციები იმისათვის, რომ მთლიანობაში გამოწვევებს ვუპასუხოთ, მაგრამ ახალი სტატისტიკური მონაცემების დადებითი ტენდენცია ის არის, რომ რეინვესტირება, რომელიც 4-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო, საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს.

— დაახლოებით 700 მილიონამდე ინვესტიცია გვაქვს. ინვესტიციის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია დაფიქსირებული 2017 წელს, ეს სწორი ტენდენციებია, რა თქმა უნდა. ამიტომ საზოგადოებას უნდა შევთავაზოთ ის მოდელი, რომლითაც ისინი მიხვდებიან რამდენად გაზომვადია ეს პროცესი. ეს არ უნდა იყოს ისეთი თეორია, რომელსაც მხოლოდ ათი ეკონომისტი გაიგებს. საზოგადოებისთვის უნდა იყოს გასაგები.

ეროვნული ბანკის დამოკიდებულებაც ძალიან მნიშვნელოვანია. საკმაოდ სოლიდური თანხა დაგროვდება. ამ თანხის განთავსებამ, თუ ის არასწორი იქნება, შესაძლოა, ბაზარზე არასასურველი რყევები გამოიწვიოს. ამიტომ ეროვნულ ბანკს უნდა ჰქონდეს იმის საშუალებაც და ვალდებულებაც, რომ საინვესტიციო წინადადებების შეფასება განახორციელოს და მისი არეალი რაც არის — პასუხისმგებლობა ფინანსური სექტორის სიჯანსაღეზე, არ იქნება დაზიანებული ამ ფონდის მიერ. ვინაიდან, ინვესტირების დროს სააგენტო იყენებს მოსახლეობის დაგროვებულ შემოსავლებს, მნიშვნელოვანია, მოხდეს საინვესტიციო გადაწყვეტილებების შეფასება. საპენსიო რეფორმა არის უალტერნატივო პროცესი, მაგრამ უნდა იყოს უფრო მკაფიო ინდიკატორები. მნიშვნელოვანია თუ როგორ გაიზომება ამ ფონდის წარმატებული საქმიანობა გრძელვადიან პერიოდში, — აცხადებს კაკულია.

# სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ლიბერთი ბანკს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა



13 მარტს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა, ზაზა სოფრომაძემ და ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ ლევან თხელიძემ ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის ფარგლებში, ლიბერთი ბანკი, 1 წლის განმავლობაში (2018 წლის 01 იანვრიდან – 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ 40-ზე მეტ მცირე საოჯახო ტიპის სახლის (35) და მიუსაფართა თავშესაფრის (6) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის საფასურის სრულ ანაზღაურებას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ბანკმა ამ მიმართულებით საკმაოდ სოლიდური სახსრები გაიღო.

— ლიბერთი ბანკისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლობა, ვფიქრობ, საუკეთესო მაგალითია კერძო სექტორის და სახელმწიფო უწყების თანამშრომლობისა. უკვე მესამე წელია ლიბერთი ბანკი მცირე საოჯახო სახლებისა და მიუსაფართა თავშესაფრების კომუნალურ ხარჯებს ანაზღაურებს, რაც დიდი დახმარებაა იქ მცხოვრები ბავშვებისა და თავად სერვის-პროვაიდერებისათვის. გამოთავისუფლებული თანხა საშუალებას მოგვცემს, 40 მცირე საოჯახო ტიპის სახლსა და მიუსაფართა თავშესაფარში კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ სერვისები და ვიზრუნოთ ბავშვთა განვითარებაზე. მადლობა ლიბერთი ბანკს გამოჩენილი სოციალური პასუხისმგებლობისათვის, — აღნიშნა სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ.

— ლიბერთი ბანკის სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში 2018 წელსაც ვაგრძელებთ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობას. ამ პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებულ პრიორიტეტს ვანიჭებთ იმ პროექტებს, რომლებიც კერძო სექტორიდან მხარდაჭერას და მატერიალურ თანადგომას საჭიროებენ — ჩვენ ვართ იქ, სადაც ყველაზე მეტად ვჭირდებით, — აღნიშნა ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ ლევან თხელიძემ.

# ბათუმელი ბიჭის ცემას ზუგდიდში სისხლიანი გარჩევა მოჰყვა



## დაჭრილია 3 ადამიანი

გუშინ, 13 მარტს, ზუგდიდში ადამიანი დაჭრეს.

სამივე სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ექიმების განცხადებით, ერთი დაჭრილის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკული იყო და ის მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა. დანარჩენ ორს შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა.

„ნიუპოსტს“ კონფიდენციალურმა წყარომ უამბო, რომ სროლას წინ ქურდული გარჩევა უძღოდა.

რესპონდენტი აღნიშნავს, რომ კონფლიქტი 12 მარტს, გვიან ღამით, ყოფილი მხედრიონელის სახლში დაიწყო, როცა ბათუმიდან ჩამოსული ბიჭი ადგილობრივებმა სასტიკად ცემეს, გუშინ კი ქურდული გარჩევა ჭითაწყარში გაიმართა.

ჭითაწყარში ბათუმელმა ახალგაზრდამ პირველმა გახსნა ცეცხლი და მიმალვა შეძლო. დაჭრილია პირი, რომელიც გარჩევაზე ნაცემ მამაკაცს ბათუმიდან ზუგდიდში გამოჰყვა.

— როგორც ვიცი, „რაზბორკა“ იყო, კანონიერი ქურდიც ჩართული იყო ტელეფონით და გუშინ ბათუმელი ბიჭის ცემის მიზეზებს განიხილავდნენ. ამ დროს აღნიშნულმა პირმა ავტომობილიდან ცეცხლსასროლი იარაღი გამოიტანა და გარჩევის მონაწილეთა მისამართით გაისროლა, რასაც საპასუხო გასროლა მოჰყვა. მან გაქცევა მოასწრო. რაც შეეხება მის მეგობარს, ის ცივი იარაღით არის დაჭრილი, — განაცხადა „ნიუპოსტის“ წყარომ.

მისი თქმით, საქმეში 5-მდე ცეცხლსასროლი იარაღი ფიგურირებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 19-109-ე მუხლით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

# საყდრისის კომიტეტი ეკონომიკის, და მდგრადი განვითარების სამინისტროს აუქციონის შეჩერებისკენ მოუწოდებს

საყდრისის კომიტეტი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აუქციონის შეჩერებისკენ მოუწოდებს:

– 2018 წლის 6 მარტს ქონების მართვის ეროვნულმა სააგენტომ იჯარით გადასაცემად ელექტრონულ აუქციონზე წარადგინა 162868.00 კვ.მ. (16.2 ჰექტარი) მიწის ფართობი (საკადასტრო კოდი 82.12.45.415, დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ. დიდი დმანისი). აღნიშნული ნაკვეთი მდებარეობს იმ ტერიტორიაზე, სადაც ოქროს მომპოვებელი კომპანია არემჯი გოლდი სამთო სამუშაოებს აწარმოებს, რაც ცხადყოფს, რომ აუქციონს მხოლოდ ერთი მონაწილე ეყოლება.

ჩვენს ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ კომპანია არემჯი გოლდმა ჯერ კიდევ 2017 წლის ბოლოს მიმართა ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოს და აღნიშნული ტერიტორიის იჯარით გადაცემა მოითხოვა, რასაც სასწრაფო წესით, 2018 წლის 26 იანვარს ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სტატუსით დარეგისტრირება და აუქციონზე გამოტანა მოჰყვა. საყურადღებოა ასევე აუქციონზე გამოტანილი ნაკვეთის იჯარის დაბალი ღირებულება – მხოლოდ 15.000 ლარი.

ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარეობს კიდევ ერთი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 2 ჰექტარი მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 82.12.45.380), რომლის პრივატიზებას არემჯი გოლდი ასევე სთხოვდა ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, თუმცა იანვარში სოფელ დიდი დმანისის მოსახლეობამ უარი განაცხადა ნაკვეთის კომპანიისთვის გადაცემაზე იმ მიზეზით, რომ სოფლის არსებობის ძირითადი საშუალება მიწათმოქმედება და მესაქონლეობაა. სოფელს ისედაც მცირე საძოვრები და ასევე მცირე ტყის მასივი აქვს, ამიტომ რაიმე მიწის ნაკვეთის პრივატიზაცია, სოფლის მოსახლეობის მძიმე საარსებო პირობებს

საყდრისის კომიტეტი კულტურული მემკვიდრეობისთვის

კიდევ უფრო უფრო გააუარესებს“ (სოფ. დიდი დმანისის საერთო კრების ოქმი, 11.01.2018 წ.).

16.2 ჰექტარი მიწის ფართობის აუქციონზე გატანას დმანისის მუნიციპალიტეტის მერია მხოლოდ იმის გამო დათანხმდა, რომ ტერიტორიით ფაქტობრივად არ სარგებლობენ დმანისის მუნიციპალიტეტის მცხოვრებნი, რადგან აღნიშნული ნაკვეთის მიმდებარედ შპს „არემჯი გოლდი“ აწარმოებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით სამუშაოებს და ტერიტორიაზე უცხო პირების შესვლა ფაქტობრივად შეუძლებელია სპეციალური საშვის გარეშე“ (დმანისის მერის, გიორგი ტატუნაშვილის წერილი 22.02.2018/№07-782).

აღსანიშნავია, რომ დმანისის მერის ეს წერილიც ფაქტობრივად ადასტურებს აუქციონში მხოლოდ ერთი მონაწილის – „არემჯი გოლდის“ არსებობას.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აუქციონზე გატანილი მიწის ნაკვეთზე კომპანია ე.წ. ციანიდის მოედნების გაფართოებას გეგმავს, სადაც მანამდე კომპანიის მხრიდან უკანონო სამუშაოების არაერთი ფაქტი გამოვლინდა („არემჯი გოლდზე“ გაცემული გარემოზე ზემოქმედების №000056 ნებართვით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვით სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმური შემოწმება-დასკვნა, გვ. 36. გარემოს დაცვის სამინისტრო 29.12.2015-15.03.2016წ.წ.).

ასევე ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, არემჯი გოლდი“ უახლოეს პერიოდში კვლავ აპირებს დამატებით, დაახლოებით 17 ჰექტარი მიწის ფართობის იჯარით აღებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ხორციელდება იმ ფონზე, როდესაც: უახლოესი კვლევის თანახმად (მწვანე პოლიტიკის საზოგადოებრივი პლატფორმა, 2017 წ.) არემჯი გოლდის მიერ საყდრისის საბადოზე საქმიანობის შედეგად ჰაერის, წყლის და ნიადაგის დაბინძურებამ საგანგაშო ნიშნულს გადააჭარბა (ტყვია, კადმიუმი) და საეჭვოდ გახშირდა ონკოლოგიური და სხვა ტიპის დაავადებები ადგილობრივ მოსახლეობაში;

კომპანიას არ შეუსრულებია არც ერთი ნაკისრი ვალდებულება და დღემდე არ ანაზღაურებს მისი საქმიანობის შედეგად გარემოზე მიყენებულ ზიანს (2013 წ. – 29 153 880 ლარი, 2014 წ. – 1 078 188 ლარი, 2016 წ. – გარემოზე მიყენებული ზიანი დაუზუსტებელი ინფორმაციით მილიარდ ლარს აჭარბებს, თუმცა გარემოს დაცვის სამინისტრო დათვლას დღემდე „ვერ ახერხებს“);

ე.წ. ციანიდის მოედნების გაფართოებისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი შენიშვნებით უკან დაუბრუნდა კომპანიას.

აქედან გამომდინარე, დაუშვებლად მიგვაჩნია „არემჯი გოლდზე“ დამატებითი ტერიტორიების იჯარით გადაცემა, რადგან კომპანიის საქმიანობის თუნდაც ერთი ჰექტრით გაფართოება ნიშნავს დაბინძურების ახალი წყაროს გაჩენას და კიდევ უფრო მეტ დაავადებულ ადამიანს.

მივმართავთ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, აუქციონიდან მოხსნას ან უარეს შემთხვევაში, შეაჩეროს 16.2 ჰექტარი მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა.

ამასთან, „საყდრისის კომიტეტი“ მოვუწოდებთ საზოგადოებას, პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და მედიას, მეტი ყურადღება გამოიჩინონ აღნიშნული პრობლემების მიმართ და აქტიურად ჩაერთონ პროცესებში, – აღნიშნულია „საყდრისის კომიტეტის“ განცხადებაში.

# ჯორჯიან მანგანეზი 200-ის ნაცვლად სახელმწიფოს 7 მილიონ ლარს გადაუხდის



შეთანხმება მიღწეულია – 200 მილიონიანი დავა ჯორჯიან მანგანეზსა“ (GM) და სახელმწიფოს შორის დასრულდა.

კომპანიის სპეცმმართველის განცხადებით, კომპანია მიიჩნევდა, რომ ეს თანხა მას უსაფუძვლოდ ჰქონდა დარიცხული. საბოლოოდ, GM ბიუჯეტის სასარგებლოდ 7 მილიონს გადაიხდის. თანხის გადახდა უახლოეს პერიოდში მოხდება.

ამ შეთანხმებას წინ სააპელაციო სასამართლოს მიერ უმსხვილესი კომპანიის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება და საგადასახადო ორგანოსთან რამდენიმეთვიანი მოლაპარაკებები უძღოდა.

შეგახსენებთ, 2017 წლის ზაფხულში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ორგანოების მიერ კომპანიის მიმართ არსებითად დაირღვა მატერიალური კანონმდებლობა. შესაბამისად, ბათილად ცნო კერძო კომპანიაზე თანხის დარიცხვის საფუძვლები და საგადასახადო ორგანოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაავალა.

# ტაქსის მძღოლებს მანქანაში მრიცხველის დაყენების ვალდებულება ექნებათ




თბილისის მერის მოადგილე მაია ბითაძემ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ტაქსით მომსახურების სანებართვო რეგულაციასთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა.

მაია ბითაძის განცხადებით, ტაქსის მძღოლებს საქმიანობის ნებართვისთვის ერთჯერადად – ე.წ. ფურცლის საფასურის გადახდა მოუწევთ, ელექტრომობილებისა და ჰიბრიდული ავტომანქანების მფლობელებისთვის კი ეს გადასახადი ბევრად ნაკლები იქნება.

მისივე თქმით, ტაქსით მომსახურების რეგულაცია 3 ეტაპად განხორციელდება.

– კანონპროექტის თანახმად, პირველ ეტაპზე, თბილისის საკრებულოს უჩნდება სამართლებრივი საფუძველი იმისთვის, რომ გამოსცეს აქტი, სადაც დადგენილი იქნება საქმიანობის სანებართვო პირობები. ანუ პირველ ეტაპზე არის აღრიცხვიანობა, გამოხატული სტატისტიკურ ფორმაში როგორც ნებართვა, რომელიც

გაიცემა მარტივად, ერთი სარკმლის პრინციპით ელექტრონულად ან არაელექტრონულად, როგორც მოსახერხებელი იქნება იმ ადამიანისთვის, რომელსაც თავისი სერვისის მიწოდება უნდა მოსახლეობისთვის. იქნება მხოლოდ ერთჯერადი საფასური – ე.წ. ფურცლის საფასური, რასაც ჩვენ, მაგალითად, პასპორტის ასაღებად ვიხდით. ჰიბრიდულ და ელექტროავტომობილებზე შეღავათიანი იქნება ეს გადასახადიც – პრაქტიკულად, ნული იქნება ელექტრომობილისთვის.

ტაქსის მძღოლი რეგისტრირდება, იხდის თანხას და ის არის ნებართვის მფლობელი. ნებართვის მფლობელობა პრაქტიკაში რას გულისხმობს და რას აკონტროლებს შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრო?! ნებართვის მფლობელი ვალდებული იქნება, მგზავრთა გადაყვანის დროს იქონიოს სანებართვო ფორმა, რომელიც გაკრული უნდა ჰქონდეს მანქანაში. იქ იქნება იდენტიფიცირებული

ნებართვის ნომერი, ადამიანის სახელი და გვარი. ასევე მას ევალება, რომ ავტომობილზე ჰქონდეს მანიშნებელი, რომ ის არის ტაქსი. ეს არის პირველი ეტაპი, რომელიც არის აღრიცხვისა და რეგისტრაციის მარტივი ფორმა და სამართლებრივად ამას ნებართვის გაცემა ჰქვია.

რაც შეეხება მეორე ეტაპს... რატომ ვაკეთებთ და რატომ ვფიქრობთ, რომ ეს არის სატრანსპორტო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი და მათ შორის ავტოპარკის დარეგულირებისთვის გადადგმული ერთი ნაბიჯი. 2019 წელს ემთხვევა ეს, როცა უკვე ტექნიკური დათვალიერებაც შემოვა. ეს არის ამ ქალაქის იმიჯი, რომელიც ასევე უნდა გვადარდებდეს და ნებისმიერი ადამიანი, ვინც მუშაობს ამ ქალაქში, ყველა კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს. ასევე, მეორე ფაქტორი არის ის, რომ სანდოდ და უსაფრთხოდ გადაადგილება მოხდეს. თუ ჩვენ ვალდებული ვართ, რომ ვაკონტროლოთ ავტობუსის მძღოლები და სამარშრუტო ტაქსის მძღოლები, რომ ისინი უსაფრთხოდ გადააადგილებდნენ მოსახლეობას და ტურისტებს, რატომ არ უნდა მოეთხოვოთ იგივე ტაქსის მძღოლებს, რომლებიც მომსახურეობაში ბევრად მეტს იღებენ. ასევე, მნიშვნელოვანია, ტაქსის ვიზუალი გარედან და მდგომარეობა შიგნით.

მესამე ეტაპზე, როცა სისტემა სრულად ამოქმედდება და ეს შეიძლება იყოს 3 წლის შემდეგ, ტაქსის მძღოლს დაევალება ტაქსომეტრის დაყენება, რომელიც სანდოს გახდის მგზავრობის ხარჯებს და ძალიან მნიშვნელოვანია იმ მოწყვლადი მომხმარებლისთვის, რომელიც შეიძლება იყოს ტურისტი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, – განაცხადა მაია ბითაძემ.

# როდიდან გახდება ავტობანზე მანქანის დამუხტვა ფასიანი



ელექტრომობილების დამტენების მოხმარება 2018 წლის ბოლომდე უფასო იქნება.

2019 წლიდან კი, ამას კომპანია E-space გადაწყვეტს, რომელიც საქართველოში ელექტროდამტენების სადგურების ქსელს ავითარებს.

როგორც „ბიზნესპრესნიუსს“ კომპანიის განვითარებისა და მარკეტინგის დირექტორმა ნატა კასრაძემ განუცხადა, მსოფლიოში ელექტრომობილების დამტენებით სარგებლობა ძირითადად ფასიანია, თუმცა E-space დაინტერესებულია, რომ საქართველოში ეს სფერო განვითარდეს და დასაწყისში სერვისით სარგებლობა უფასო იყოს.

– 2017 წლის დასაწყისში განვაცხადეთ, რომ დამტენების მოხმარება წლის ბოლომდე უფასო იქნებოდა და ასეც იყო. ახლა კი, უკვე 2018 წლის დასაწყისში პირობას ვდებთ, რომ მიმდინარე წლის ბოლომდეც უფასო იქნება. შემდეგ უკვე სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული, კვლავ უფასო დარჩება თუ არა. აღნიშნული სერვისით სარგებლობა მსოფლიოში ძირითადად ფასიანია. მეზობელ ქვეყნებში კი ეს სფერო განვითარებული საერთოდ არ არის. გამონაკლისია უკრაინა, სადაც ქსელი შედარებით განვითარებულია. ევროკავშირის ქვეყნებში ქსელისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებას მთავრობები უზრუნველყოფენ, – აცხადებს ნატა კასრაძე.

მისი ინფორმაციით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ელექტრომობილების დამტენების რაოდენობამ უკვე 40-ს მიაღწია. აქედან ერთი სწრაფი დამტენია და წლის ბოლომდე სწრაფ დამტენებს კიდევ 4-5 ცალი დაემატება.

– ამ ეტაპზე დამტენების რაოდენობა 40-მდე გაიზარდა. აქედან ერთი სწრაფი დამტენი გორის ავტობანზე, „სოკარის“ ავტოგასამართ სადგურზე დამონტაჟდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით ქსელის 100-მდე გაფართოებას ვგეგმავთ. უახლოეს ორ თვეში იმერეთის და სამეგრელოს რეგიონში რამდენიმე ობიექტზე დამტენები განთავსდება. ასევე, ვაპირებთ, რომ გზატკეცილებზე დავამატოთ სწრაფი დამტენები.

თბილისში სწრაფი დამტენის დამონტაჟებას არ ვაპირებთ. სწრაფი დამტენის ხშირი გამოყენება რეკომენდირებული არ არის. მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც გრძელ დისტანციაზე უწევს მძღოლს გადაადგილება და ელექტრომობილის სწრაფი დამუხტვა სჭირდება. სწრაფი დამტენების შემთხვევაში სამომავლოდ მონაკვეთები ისე იქნება გადანაწილებული, რომ ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტამდე ავტომობილს მუხტი ეყოს. ვგეგმავთ, რომ წლის ბოლომდე 4-5 სწრაფი დამტენი დავამატოთ, – აღნიშნავს კასრაძე.

მისივე თქმით, სწრაფი დამტენები განსაკუთრებით ავტობანებზეა საჭირო, მით უმეტეს, ზაფხულის ტურისტული სეზონის გააქტიურების დროს:

– ტურისტულ სეზონზე არის საჭიროება, რომ შავი ზღვისპირეთისკენ მიმავალ მაგისტრალზე სწრაფი დამტენები დაემატოს. ამიტომაც ავტობანებზე სწრაფი დამტენების დამონტაჟება ერთ-ერთი პრიორიტეტია ჩვენთვის, თუმცა ეს მხოლოდ ჩვენზე დამოკიდებული არ არის. ძირითადად მსგავსი დამტენები კერძო კომპანიების ტერიტორიებზე მონტაჟდება. ამდენად, მათგანაც შესაბამისი მზაობა უნდა იყოს, – განმარტავს კომპანიის განვითარებისა და მარკეტინგის დირექტორი.

მისივე თქმით, ელექტრომობილების დამტენებზე, ისევე, როგორც ზოგადად ელექტრომობილებზე მოთხოვნა გაზრდილია.

– მოთხოვნა და საჭიროება არის. ქსელი კარგად განვითარდა. სტატისტიკურად დამტენების მოხმარება გაიზარდა. ასევე, ძალიან გაიზარდა ქვეყანაში ელექტრომობილების რაოდენობა. როდესაც დამტენების დამონტაჟება დავიწყეთ, 15 ელექტრომობილი იყო ქვეყანაში რეგისტრირებული. დღესდღეობით კი 100-მდე გაიზარდა. იგულისხმება სრულად ელექტრომობილები და არა ჰიბრიდები, – აცხადებს ნატა კასრაძე.

# „ბანკები დაინტერესებული არიან კაპიტალის ბაზრის განვითარებით“



ბანკები დაინტერესებული არიან კაპიტალის ბაზრის განვითარებით, – ამის შესახებ EBRD-ის წარმომადგენელმა ბრუნო ბალვანერამ განაცხადა. ის არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ბანკები კაპიტალის ბაზარს, შესაძლოა, კონკურენტად აღიქვამდნენ.

– ქართული ბაზარი ორ მსხვილ ბანკთან არის დაკავშირებული. მაგრამ ვფიქრობ, ორივე ბანკი მონდომებულია, რომ განვითარდეს არასაბანკო ინსტრუმენტები და კაპიტალის ბაზარი. ორივე აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებებზე, – აცხადებს ბალვანერა.

# აგროსექტორში ინვესტიციების მოცულობა განახევრდა



აგროსექტორში ინვესტიციების მოცულობა მცირდება. „საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული 2017 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2016 წელთან შედარებით ინვესტიციების მოცულობა 2,3-ჯერ შემცირდა. 2017 წელს ქვეყნის აგროსექტორში სულ რაღაც 3,6 მლნ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, 2016 წელს ეს მაჩვენებელი 8,3 მლნ დოლარი იყო. ქვეყნის სოფლის მეურნეობას და თევჭერაში ბოლო 5 წლის განმავლობაში უცხოური ინვესტიციის ასეთი დაბალი მაჩვენებელი არ ყოფილა. სტატისტიკის მიხედვით, 2013 წელს აგროსექტორში 13 მლნ დოლარის უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, 2014 წელს – 12,3 მლნ დოლარი, 2015 წელს – 18,6 მლნ დოლარი.

აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა 2017 წლის ანგარიშის წარდგენისას აგრობიზნესის სექტორში პროდუქციის გამოშვების მზარდ ტენდენციაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ, 2012 წელთან შედარებით, როგორც პირველადი, ასევე გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის გამოშვება 32%-ით არის გაზრდილი. ასევე აღნიშნა, რომ ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა სოფლის მეურნეობის სექტორში.

## უკრაინის პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიება შეაჩერა



უკრაინის პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიება შეაჩერა. ამის შესახებ პოლიტიკოსის ადვოკატზე დაყრდნობით უკრაინული მედია წერს. რუსლან ჩერნოლუცკის თქმით, ამით დამტკიცდა, რომ პარტია „ახალი ძალების მოძრაობის“ ლიდერისთვის წაყენებული ბრალდება დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შესახებ უსაფუძვლო აღმოჩნდა.

პროკურატურაში კი განმარტეს, რომ გამოძიების შეჩერება საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, პროცესუალური ქმედებების შესრულების აუცილებლობამ გამოიწვია.

## მსახიობ და იუმორისტ დავით როსტომაშვილზე თავდასხმაში ბრალდებულებს სასამართლომ 10 და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა



მსახიობ და იუმორისტ დავით როსტომაშვილზე თავდასხმაში ბრალდებულები სასამართლომ დამნაშავედ ცნო. კერძოდ, საქმეზე ბრალდებულები ბექა კირვალიძე და ზურაბ ქუთელია მოსამართლე ნათია გუდაძემ დამნაშავედ ცნო ყაჩაღობაში და სასჯელის სახით 10 და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

რაც შეეხება კიდევ ერთ ბრალდებულს, არტემ აგაჯანოვს, მას მოსამართლემ 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. მოსამართლის მიერ განაჩენის გამოცხადებას ბრალდებულების უკმაყოფილება მოჰყვა. მათ დარბაზი შეძახილებითა და უცენზურო სიტყვებით დატოვეს.

ბექა კირვალიძეს, ზურაბ ქუთელიასა და არტემ აგაჯანოვს ბრალად ყაჩაღობის მიზნით დავით როსტომაშვილზე თავდასხმა ედებოდათ. მსახიობსა და იუმორისტს თავს ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ.

## რესტორან „წინა ველში“ ბაღდათის საკრებულოს წევრებმა იჩხუბეს — პოლიციელს თავში ჭურჭელი ჩაარტყეს




ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ სარბევში რესტორან „წინა ველში“ ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. ბაღდათის საკრებულოს წევრებმა სხვა სუფრის წევრებთან იჩხუბეს.

გავრცელებული ინფორმაციით, დაზარალებული მოქალაქე დაცვის პოლიციის თანამშრომელია. მას თავში მინის ჭურჭელი ჩაარტყეს.

რესტორნის თანამშრომელთა თქმით, ჩხუბი ეზოში გაგრძელდა.

შსს-ში აცხადებენ, რომ საქმე აღძრულია სხეულის განზრახ მსუბუქად დაზიანებით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ინციდენტს არ უარყოფს, თუმცა ჩხუბის მიზეზს არ ასახელებს.

## ავარია რუსთავში — დაშავებულია 5 ადამიანი

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა გუშინ რუსთავში, რუსთაველისა და ბათუმის ქუჩების კვეთაზე.

თვითმხილველთა თქმით, ტრაილერი ქალაქში მოძრავ მიკროავტობუსს დაეჯახა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 5 ადამიანი დაშავდა, რომელთაგან ერთის მდგომარეობა შედარებით მძიმეა. ისინი სასწრაფო დახმარებამ ქალაქის საავადმყოფოში გადაიყვანა.

ადგილზე საპატრულო პოლიცია მუშაობს.

# „მოგვაშორეთ ქართველი პატიმრები“ — შვედი მინისტრი, იუჰანსონი, გახარიას ქართველი დამნაშავეების წაყვანას სთხოვს



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია დღეს სტოკჰოლმში შვედეთის შინაგან საქმეთა მინისტრ მორგან იუჰანსონს შეხვდება. ამის შესახებ Sveriges Radio წერს.

შვედური მედიის ინფორმაციით, იუჰანსონი გახარიასგან მოითხოვს, რომ საქართველომ შვედეთში სხვადასხვა დანაშაულისთვის გასამართლებული საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში გადაყვანა უზრუნველყოს.

— ამ მოქალაქეებს შვედეთთან არანაირი კავშირი არ აქვთ და კანონის მიხედვით, მათი საქართველოში დაბრუნება შეიძლება. არსებობს მეორე მიზეზიც, — ჩვენ შვედეთში ციხეები საკუთარი დამნაშავეებისთვის გვჭირდება, — განაცხადა მორგან იუჰანსონმა.

პოლიციის ინფორმაციით, შვედეთში მომხდარი ქურდობის ფაქტების თითქმის 50% უცხოელების მიერ არის ჩადენილი, უცხოელ დამნაშავეებს შორის კი საქართველოს, რუმინეთის, ლიტვისა და პოლონეთის მოქალაქეები ჭარბობენ.

ქურდობის გარდა, მანქანების გატაცებებისა და მოხუცებულების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების უკან უმეტეს შემთხვევებში ასევე უცხოელები დგანან.

— საერთაშორისო სამართლის თანახმად, შვედეთში გასამართლებული საქართველოს მოქალაქეები საქართველომ სამშობლოში უნდა დააბრუნოს, თუმცა ბოლო ათი წლის განმავლობაში ეს არ მომხდარა, — აღნიშნავს მორგან იუჰანსონი.

მისი თქმით, ქართული მხარე ამის რამდენიმე მიზეზს, მათ შორის ციხეებში თავისუფალი ადგილების არარსებობას ასახელებს.

# ნათია მეზვრიშვილი: „გვაქვს მზარდი სტატისტიკა, როცა ნასვამ თუ ფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეები სამართალდამცავებს შეურაცხყოფას აყენებენ“



სამართალდამცავის შეურაცხყოფა არათუ 1.000 ლარიდან 4 ათას ლარამდე ჯარიმით, არამედ 10 ათასი ლარითაც კი უნდა ისჯებოდეს.

ამის შესახებ შს მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა პარლამენტში ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, სადაც „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებები წარადგინა.

არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან დღეს კრიტიკის საგანი იყო კანონში დაგეგმილი ცვლილება, რომლითაც იზრდება ადმინისტრაციული ჯარიმის ოდენობა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის ან სპეციალური პენიტენციარული სამსახურის მოსამსახურის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობაზე და მათთვის შეურაცხყოფის მიყენებაზე. ამგვარი ქმედება 1.000 ლარიდან 4.000 ლარამდე დაჯარიმებას გამოიწვევს. ასევე ძალაში რჩება 15 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობის შეფარდების ნორმა.

— საუბარია იმ ადამიანების შეურაცხმყოფელების, მაგინებლების, წინააღმდეგობის გამწევების მიმართ ჯარიმის გაზრდაზე, რომლებიც ამ დარბაზში მსხდომი ადამიანების უსაფრთხოებას ყოველდღიურად — დღისით და ღამით იცავენ. პირადად მე ამ თემაზე საუბარი მეუხერხულება. საუბარია ჯარიმის გაზრდაზე იმ პირობებში, როდესაც გვაქვს მზარდი სტატისტიკა, როცა ნასვამ მდგომარეობაში, ფხიზელ მდგომარეობაში მყოფი კანონის არამორჩილი მოქალაქეები თითქმის ყოველდღიურად შეურაცხყოფას აყენებენ, აგინებენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს. თქვენ ახლა აქ მესაუბრებით იმაზე, რომ ვარღვევთ რაღაც საერთაშორისო პრინციპებს, ვეწინააღმდეგებით საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას, შემოგვაქვს არაკონსტიტუციური ნორმები, როდესაც ვზრდით ჯარიმის ოდენობას იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არ ემორჩილებიან პოლიციელების განა უკანონო მოთხოვნას — არ ემორჩილებიან პოლიციელების კანონიერ მოთხოვნას. საუბარია კანონიერ მოთხოვნაზე, — განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებები გუშინ პირველი მოსმენით განიხილეს. ამავე ცვლილებებით, წვრილმანი ხულიგნობისთვის განისაზღვრება ჯარიმა 500 ლარიდან 1.000 ლარამდე, ნაცვლად დღეს არსებული 100 ლარისა.

# 2011-2012 წლებში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობისთვის №8 დაწესებულების ორი ყოფილი თანამშრომელი დამნაშავედ ცნეს

საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და 2011-2012 წლებში, პატიმართა წამების, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისთვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულების ორი ყოფილი თანამშრომელი დამნაშავედ ცნო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურიდან აცნობეს, სასამართლო განხილვით დადგინდა, რომ 2011-2012 წლებში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში, პატიმართა დაშინებისა და უსიტყვო მორჩილების მიზნით, ამავე დაწესებულების თანამშრომლების დ.ხ.-ს და ლ.ბ.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა პატიმართა დამცირებას და არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას.

— ხსენებული პირები №8 დაწესებულებაში შესახლებისას ძალადობრივი მეთოდებით უსწორდებოდნენ პატიმრებს, აყენებდნენ მათ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, ხოლო შემდგომ პერიოდშიც ამავე პატიმართა მიმართ ფიზიკურ ანგარიშსწორებას ჰქონდა სისტემატური ხასიათი, რისი მიზანიც იყო მათი უსიტყვო მორჩილება.

მსჯავრდებულთა ქმედებების შედეგად პატიმრებს უკანონოდ შეზღუდული ჰქონდათ გასეირნების, სატელეფონო საუბრებისა და მიმოწერის უფლება. არ ჰქონდათ სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა, მათ ასევე შეზღუდული ჰქონდათ ძილისთვის და დასვენებისთვის განკუთვნილი დრო.

ასევე დადგინდა, რომ მსჯავრდებულთა მხრიდან ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პატიმრების საკნიდან თვითნებურად გაყვანას და დაწესებულების კორპუსში მდებარე აბანოში განთავსებას, სადაც ხელკეტებისა და სხვადასხვა საგნების გამოყენებით ხდებოდა მათზე ფიზიკური ანგარიშსწორება.

სასამართლოზე მტკიცებულებების სახით წარდგენილ იქნა დაზარალებულთა ჩვენებები, რომლებიც სხვადასხვა დროს განთავსებული იყვნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში და მათგან აბსოლუტური უმრავლესობა წლების განმავლობაში იყო ძალადობის მსხვერპლი. ასევე, წარდგენილ იქნა ორ ათეულ ტომად შეკრებილი, სისხლის სამართლის საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებები.



სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით დ.ხ. და ლ.ბ. დამნაშავედ იქნენ ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1443-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის (დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა) და თითოეულ მათგანს სასჯელის სახედ და ზომად „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენების შემდეგ განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით და 1 წლითა და 6 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, — აცხადებენ პროკურატურაში.

## ვაკე-საბურთალოს სამმართველოს გამომძიებელი ბ.ა. ნარკოტიკის გასაღებისთვის დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-7 განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი ბ.ა. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 6-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბ.ა.-მ ერთ-ერთ მოქალაქეს უკანონოდ მიჰყიდა „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით.

## გახმაურებული საქმეების ცრუ მოწმე — სისხლის სამართლის საქმე სამოხელეო დანაშაულის შესახებ აღიძრა

გახმაურებული საქმეების ცრუ მოწმე გოდერძი ჯოლოხავას გამოკითხვის შემდეგ სისხლის სამართლის საქმე სამოხელეო დანაშაულის შესახებ აღიძრა. გამოძიებამ ჯოლოხავა მოწმის სტატუსით დაკითხა. მოწმის დაკითხვა დღესაც გაგრძელდება.

ცნობილია, რომ ჯოლოხავა მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩასვეს.

— დაიწყეს გამოძიება სამოხელეო დანაშაულის კუთხით მასთან მიმართებაში ხორციელდებოდა ძალადობა სახელმწიფოს სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირების მიერ. მზად არის სრულად აგოს პასუხი ჩადენილი დანაშაულისთვის და იმ ცრუ ჩვენებებისთვის, რაც გამოძიების ეტაპზე აქვს მიცემული, — განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალდამცველთა რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელმა ზვიად კუპრავამ.

სკანდალური სატელევიზიო აღიარების შემდეგ მოწმემ ხელისუფლების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ მისცა ჩვენება.

# ტრამპმა ტილერსონი მოხსნა და მის ადგილზე პომპეო დანიშნა

გუშინ, 13 მარტს, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

აშშ-ის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო მდივნის პოსტს მაიკ პომპეო დაიკავებს.

„მაიკ პომპეო, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს უფროსი, ჩვენი ახალი სახელმწიფო მდივანი გახდება. ის ფანტასტიკურ სამსახურს გაგვიწევს! მადლობა რექს ტილერსონს მისი მუშაობისთვის! ჯინა ჰასპელი გახდება ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ახალი უფროსი და ამ თანამდებობაზე პირველი ქალი იქნება", – წერს ტრამპი ტვიტერში.

## ცსს-ს ჯინა ჰასპელი უხელმძღვანელებს


ჯინა ჰასპელი და რექს ტილერსონი

ჯინა ჰესპელი 1956 წლის 9 ოქტომბერს დაიბადა. ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში მუშაობა 1985 წელს დაიწყო. 2017 წელს ტრამპმა ცსს-ს ხელმძღვანელის მოადგილედ დანიშნა. ის არის პირველი ქალი კარიერული თანამშრომელი ცსს-ში და მეორე ქალი, რომელმაც ცსს-ს ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობა დაიკავა.

ჯინა ჰესპელი გახდა პირველი ქალი, რომელიც ცსს-ს ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაინიშნა.

ჰესპელი არის ჯორჯ ბუშის ჯილდოს მფლობელი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე მიღებული აქვს რამდენიმე სხვა ჯილდო.

# პენტაგონი: „რუსეთის მიმართ ჩვენი პოლიტიკა არ შეიცვლება"



პუტინის სიტყვებმა „სასწაული იარაღის" შესახებ სათანადო ეფექტი ვერ იქონია. ცნობილი პოლიტიკოსები (მერკელი, მაკრონი, მეი და ა.შ.) აცხადებდნენ, რომ რუსეთმა თავისი კოზირები ამოწურა და ამიტომაც მუქარაზე გადავიდა.

თავად პუტინი ამან გაანაწყენა. თავისი უკანასკნელი ინტერვიუს დროს ის აშკარად აღელვებული გამოიყურებოდა. მან კვლავ გაიმეორა, რომ ახალი ტიპის რაკეტა „სარმატი" დაამზადეს, რომლის წინაშეც ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა უძლურია.

– ამერიკელები თავდაცვაზე ჩვენზე მეტს ხარჯავენ, ეს მართალია, მაგრამ ჩვენ გაცილებით იაფად უკეთესი იარაღი შევქმენით. ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემაზე გამოყოფილი ფულიც წყალში აღმოჩნდა გადაყრილი, – თქვა პუტინმა და შთამბეჭდავი ჟესტი გააკეთა.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მატისმა განაცხადა, რომ სიტყვები ახალი ტიპის რუსული რაკეტების არსებობის შესახებ, წმინდა წყლის ბლეფია.

– არ არსებობს არავითარი მონაცემი, რომელიც ასეთი რაკეტის არსებობას დაადასტურებს, – ამბობს მატისი.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ პენტაგონში რუსეთის მიმართ გატარებული პოლიტიკა არ შეიცვლება. მან გამოთქვა იმედი, რომ რუსეთის პრეზიდენტს ეყოფა ძალა, სიმართლეს თვალი გაუსწოროს და მიხვდეს, რომ ჩვენს დროში ძალისმიერი პოლიტიკა ანაქრონიზმია. ქვეყანა, რომელიც ამ გზით წავა, დამარცხებისთვისაა განწირული.

# ტერეზა მეიმ რუსეთს სკრიპალის მოწამვლა ოფიციალურად დასდო ბრალად



დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ რუსეთს გრუ-ს ექსპოლკოვნიკ სერგეი სკრიპალის და მისი ქალიშვილის მოწამვლა ოფიციალურად დააბრალა.

– ახლა ცხადია, რომ ბატონი სკრიპალი და მისი ქალიშვილი მოწამლეს იმ ტიპის საბრძოლო ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერებით, რომელიც რუსეთში იწარმოება, – განაცხადა მან 12 მარტს პარლამენტის თემთა პალატაში გამოსვლისას.

ტერეზა მეიმ სკრიპალის მოწამვლას უწოდა რუსეთის უპასუხისმგებლო ქმედება დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ.

– ორში ერთია, ან რუსეთის ხელმძღვანელობამ თავის სამხედროებსა და სპეცსამსახურებზე კონტროლი დაკარგა, ან ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიული ქმედებაა ჩადენილი, – თქვა მეიმ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პასუხის გაცემა არ დაახანა. ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ გარკვეული ძალები რუსეთში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ჩაშლას ლამობენ. ამიტომაც ეწყობა პროვოკაციები.

– სკრიპალის მოწამვლის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟიც ამ პროვოკაციის ნაწილია, – ნათქვამია განცხადებაში.



# თურქეთში ავტობუსი სატვირთო მანქანას დაეჯახა

## 10 ადამიანი დაიღუპა

თურქეთის ჩრდილოეთში, ოსმანჯიკის რაიონში, გუშინ, 13 მარტს, ავარია მოხდა.

სამგზავრო ავტობუსი, რომელიც სტამბოლიდან თოქათისკენ მიდიოდა, გაჩერებულ სატვირთო მანქანას დაეჯახა, რის შემდეგაც ცეცხლი წაეკიდა.



ავარიის შედეგად 10 ადამიანი დაიღუპა.

ამის შესახებ ოსმანჯიკის მერმა ჰამზა კარატაშმა განაცხადა.

– დაშავებულია 18 ადამიანი, აქედან 10-ის მდგომარეობა მძიმეა, – განაცხადა კარატაშმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# მსოფლიოს ყველაზე სახიფათო ქალაქი მექსიკაშია

მექსიკურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „სამოქალაქო საბჭო საზოგადოებრივი უსაფრთხოების და სისხლის სამართლის საკითხებში" მსოფლიოს 50 ყველაზე საშიში ქალაქის სია გამოაქვეყნა.

ამ რეიტინგში პირველ ადგილზე აღმოჩნდა მექსიკის ქალაქი ლოს-კაბოსი. 2017 წელს იქ ყოველ 100 ათას მცხოვრებზე 111,33 მკვლელობა მოდიოდა, ერთი წლის მანძილზე მკვლელობათა რიცხვი 500 პროცენტით გაიზარდა.

მეორე ადგილზე აღმოჩნდა ვენესუელას დედაქალაქი კარაკასი – 111,19 მკვლელობა 100 ათას მცხოვრებზე. მესამე ადგილი ერგო ტურისტებში საკმაოდ პოპულარულ მექსიკურ ქალაქ აკაპულკოს – 106,63 მკვლელობა 100 ათას მცხოვრებზე.

ამ სიაში უმეტესი ადგილები ლათინო-ამერიკული ქვეყნების ქალაქებს ერგოთ. მათ შორის 17 ბრაზილიის, 12 მექსიკის, ხუთი ვენესუელის და სამი კოლუმბიის ქალაქია. ასევე სიაში მოხვდნენ ქალაქები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან – კეიპტაუნი, დურბანი და ნელსონ მანდელა ბეი და ხუთი ქალაქი აშშ-დან – სენტ-ლუისი, ბალტიმორი, სან-ხუანი (პუერტო-რიკო), ახალი ორლეანი და დეტროიტი. სიაში არ არის არც ერთი ევროპული და აზიური ქალაქი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**განცხადებები**

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# კოლხეთმა მწვრთნელი 2 ტურში შეიწირა

საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ლიგის საწყისი ორი ტური წარუმატებელი გამოდგა ფოთის კოლხეთისთვის. ზღვისპირელებმა ორივე მატჩი წააგეს – ჯერ სტუმრად ჩიხურასთან 1:6, ხოლო შემდეგ შინ 1:4 დათმეს საბურთალოსთან.



ამ ყველაფრის შემდეგ, ფოთელები მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩნენ – კოლხეთის ხელმძღვანელებმა მთავარი მწვრთნელის, რუსი კონსტანტინ გალკინის გაშვების გადაწყვეტილება მიიღეს.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაინიშნება კოლხეთის მწვრთნელის პოსტზე.

# თომას მიულერი: „ჩვენ ბაიერნი ვართ“

მიუნხენის ბაიერნი ბუნდესლიგის ჩემპიონი რომ გახდება, ამაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ბავარიულ კლუბს შანსი აქვს, ისტორიული რეკორდი გაიმეოროს. ბაიერნმა რიგით 28-ე და ზედიზედ მე-6 ჩემპიონობა, შესაძლოა, უკვე მომდევნო ტურში, კვირას, ლაიპციგთან შეხვედრაში გაიფორმოს.

26 ტურის შემდეგ ბაიერნი მეორე ადგილზე მყოფ შალკეს 20 ქულით უსწრებს, მესამეადგილოსან დორტმუნდს – 21 ქულით. თუკი მომდევნო ტურში გელზენკირხენელები და დორტმუნდელები თავიანთ მატჩებს ვერ მოიგებენ, ბაიერნს ლაიპციგში გამარჯვებით, შეუძლია, ჩემპიონი გახდეს.

ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე ნაადრევი ჩემპიონობა ახლაც ბაიერნს ეკუთვნის: 2014 წელს რეკორდმაისტერმა ჩემპიონობა 27-ე ტურში გაინაღდა. თუმცა ის საჩემპიონო მატჩი 25 მარტს გაიმართა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა ბუნდესლიგის ისტორიაში, როცა ჩემპიონი მარტში გაირკვა.

**თომას მიულერი:**

– ნაადრევ ჩემპიონობაზე არ ვფიქრობთ. უბრალოდ, ვთამაშობთ და ვიგებთ. ჩვენთვის ეს ნამდვილად არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი თემა. საქმე ისაა, რომ ჩვენი ჩემპიონობა ისედაც დიდი ხანია, გარდაუვალია.

***– იუპ ჰაინკესის დაბრუნების შემდეგ გუნდი ერთი თამაშის მოგებიდან, მეორის მოგებაზე გადადის. პრესაში 2012-13 წლის სეზონთან პარალელები ივლება, რომელშიც ტრებლი იზეიმეთ. რას გრძნობ შენ ამასთან დაკავშირებით?***

– ეს შედარება თავისთავად მოდის. რა თქმა უნდა, ყველა გულშემატკივარს სწყურია. რომ რაღაც დიდებული მოხდეს. კლუბში ჩვენ ვცდილობთ, რეალურად შევხედოთ მოვლენებს. თავისთავად, ჩვენ წინაშე დიდი მიზნებია, ჩვენ ყველას გვსურს ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა. ბოლოს ეს ჩვენ 5 წლის წინ მოვახერხეთ. ასეთი რამის დაგეგმვა შეუძლებელია.

***– მერვედფინალის პირველ მატჩში თქვენ ბეშიქთაშთან 5:0 მოიგეთ. რას ელი საპასუხო მატჩისგან?***

– ჩვენ ვიცით, რომ ლაიპციგს სტამბულში ადგილობრივ ატმოსფეროსთან მიმართებაში პრობლემები ჰქონდა და საბოლოოდ მათ წააგეს. მაგრამ, პირველი მატჩი ჩვენ 5:0 მოვიგეთ, ჩვენ ბაიერნი ვართ და შორს გასვლა გვსურს! ეს ჩვენი მოთხოვნაა! ჩვენ არ ვაპირებთ სტამბულში ანგარიშის შენარჩუნებაზე თამაშს. სულმოუთმენლად ველით ამ თამაშს, ატმოსფეროს და გვსურს კარგი თამაშის ჩვენება.

***– როდესაც ხამესი ბაიერნში გადმოვიდა, ყველანი მას შენს კონკურენტად მიიჩნევდნენ, ახლა კი თქვენ მოედანზე ერთად მშვენივრად გამოიყურებით, როგორ მოხდა ასე?***

– სიტუაცია არასოდეს არ შეფასებულა რეალისტურად. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ჩვენ ერთსა და იმავე პოზიციაზე ვთამაშობდით და ხამესი ანჩელოტის ფავორიტი იყო. ხოლო რეალობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ხამესი შესანიშნავად ადაპტირდა ჩვენთან. სინამდვილეში კი ის მხოლოდ იუპ ჰაინკესის მეთაურობის ქვეშ განვითარდა და გუნდს ბევრი რამ მოგვცა. ჩვენ შესანიშნავად შევეწყვეთ ერთმანეთს, ის იმ ტიპის ფეხბურთელია, რომელსაც უყვარს პასების დარიგება, მე კი მათი მიღება.

***– იუპ ჰაინკესი ბევრს გაქებს: ამგვარი ფეხბურთელი მთელს ევროპაში არ არსებობს – ეს ციტატა უკვე კიდია ჩარჩოში შენს სახლში?***

– ყველაფერ იმასთან ერთად, თუ რას ამბობენ და რას წერენ შენზე, თავში საკუთარი ფილტრი უნდა გქონდეს, ეს ქებასაც და კრიტიკასაც ეხება. ვიცი, რომ გუნდისთვის საჭირო თვისებები გამაჩნია – წინააღმდეგ შემთხვევაში ამდენი ხნის განმავლობაში არ ვიქნებოდი ამ გუნდის წევრი. თუ მსოფლიო საზომიდან ვზომავ ინდივიდუალურ თვისებებს, როგორიცაა სისწრაფე, ორთაბრძოლა, კარში დარტყმები, მაშინ შემიძლია მხოლოდ მაღალი საშუალო შეფასება მივცე ჩემს თავს, მაგრამ ვთვლი, რომ ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, მთლიანობაში მნიშვნელოვანია. საჭირო დროს სწორი არჩევანის გაკეთება ხდის ამას შეუფასებელს.



***– როგორი დამოკიდებულება გაქვს შენს ქებაზე?***

– იუპ ჰაინკესმა დაბრუნების პირველივე დღიდან მაგრძნობინა, რომ ის მე მხარს დამიჭერდა. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა ქების მოსმენა შენი მისამართით, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი შენი მაჩვენებლებია. უფასო ბილეთს არავინ მიიღებს – მით უმეტეს, ბაიერნში. ფეხბურთელი იმდენადაა კარგი, რამდენადაც მისი წინა თამაში. არ შეიძლება რამდენიმე კარგი მატჩის შემდეგ დასვენებას მიეცე. განსაკუთრებით ყველამ დაინახა ბეშიქთაშთან მატჩში, რომ მწვრთნელს ზოგჯერ უხდება არასასიამოვნო გადაწყვეტილებების მიღება თუ ყველა ფეხბურთელი მზადაა და ჯანმრთელადაა.

***– შენ უკვე ყველაფერი მოიგე, მაგრამ შენს 28 წლის ასაკში ახლა შეხვედი ფეხბურთის საუკეთესო წლებში.***

– ადრე მოყოლილი აქვთ მსგავსი. ახლახან ნაკრებში 30 წლისებს უწევდათ თამაშის შუაგულში ყოფნა.

***– რას ელოდები საკუთარი თავისგან?***

– ჩემი კონტრაქტი 2021 წლამდეა გათვლილი. ფეხბურთში ეს მთელი უსასრულობაა. ჩვენი საერთო მიზანი ყველა ტურნირზე წარმატების მიღწევაა. ჩვენი თაობა არ აპირებს მხოლოდ 2013 წლის მიღწევებით დაკმაყოფილებას. უემბლი დიდი ხნის წინ იყო და ეს უკვე მე ძალიან მაღიზიანებს.

# მილტონ ჰეიგი: „ინგლისელებისგან არც ისე შორს ვართ“

2018 წელს ბორჯღალოსნებმა 4 თამაში მოიგეს: ბელგიასთან (47:0), გერმანიასთან (64:0), ესპანეთთან (23:10) და რუსეთთან (29:9). მიუხედავად ამისა, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი ფიქრობს, რომ განვლილ შეხვედრებში უკეთესი თამაშის ჩვენება შეიძლებოდა და ხარისხის გასაუმჯობესებლად მთელი სამწვრთნელო შტაბი და მორაგბეები დიდი მონდომებით მუშაობენ.

ჰეიგი განვლილ თამაშებზე, გუნდში დანერგილ ცვლილებებზე და მსოფლიოს თასისთვის მზადების ამ კონკრეტულ ეტაპზე გვესაუბრება.




**მილტონ ჰეიგი:**

– წელს ჩვენს ვარჯიშებში ბევრი რამ შეიცვალა, რადგან დაიწყო უშუალო მზადება მსოფლიო თასისთვის. ახლა კონკრეტული თამაშისთვის განსხვავებული პროგრამით ვემზადებით და ამ დროს არ აქვს მნიშვნელობა, ვის უნდა ვეთამაშოთ, მთავარია გავითავისოთ, თუ რა ვისწავლეთ წინა კამპანიისგან, რა სიახლეები დავნერგეთ ვარჯიშის პროცესში და როგორ ვემზადებით.

***– კონკრეტულად რა ცვლილებები შევიდა სავარჯიშო პროცესში?***

– ძალიან დიდ დროსა და ყურადღებას ვუთმობთ გარკვეულ დეტალებს, რათა თამაშისას მეტი გაუმჯობესება მივიღოთ. ვარჯიშის ტემპი გავზარდეთ და ის მივუახლოვეთ ტიერ 1-ის გუნდების თამაშის ტემპს. ჩვენ ვერ გავაკონტროლებთ ტიერ 1-ის გუნდებთან ხშირად თამაშის შესაძლებლობას, მაგრამ შეგვიძლია ვივარჯიშოთ ისე, როგორც ვარჯიშობენ ამ დონის გუნდები. შესაძლოა ეს ყოველთვის არ გამოგვდიოდეს, მაგრამ მიზანი დასახულია და მისკენ გეგმაზომიერად მივდივართ.

***– თქვენი მთავარ მწვრთნელად დანიშვნის დღიდან, მიზნად გუნდის სათამაშო სტილის შეცვლა დაისახა და ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. ახლა ბორჯღალოსნები სიბრტყეზე უფრო ხშირად თამაშობენ.***

– დიახ, ჩვენ ვცდილობთ სიბრტყეზე თამაშს და როდესაც ეს უკეთ გამოგვივა, მეტოქის დამარცხების მეტი შანსი გვექნება. თუ გვსურს, რომ უახლოეს პერიოდში ტიერ 1-ის გუნდის დამარცხება მოვახერხოთ, თამაშის ასეთი სტილი უფრო მეტად უნდა შევისისხლხორცოთ.

***– კიდევ რა არის გასაუმჯობესებელი 2019 წლის მსოფლიო თასამდე?***

– ვერ ვიტყვით ერთ კონკრეტულს, რისი გაუმჯობესებაც გვჭირდება, რადგან ჩვენი თამაში კომპლექსურ გაუმჯობესებას საჭიროებს. სამუშაოა ყველა მიმართულებით, თუნდაც იმავე შერკინებაში, სადაც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოები ვართ, თუმცა ზოგი მიმართულებით უფრო მეტია სამუშაო.

***– ბოლო ორ წელიწადში ნაკრებში რამდენიმე ახალგაზრდა, ახალი მორაგბე გამოჩნდა, განსაკუთრებით უკანა ხაზში.***

– მათ უფრო უადვილდებათ სიახლეების ათვისება, ვიდრე უფროსი ასაკის მორაგბეებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში სხვა სტილით თამაშს იყვნენ მიჩვეული, თუმცა ისინიც სწავლობენ და თავს არ ზოგავენ.

***– კმაყოფილი ხართ ყველა იმ ახალგაზრდით, რომლებიც ეროვნულში ბოლო წლებში დაწინაურდნენ?***

– მათიაშვილი ძალიან სწრაფი, კრეატიული მოთამაშეა და ამას ძალიან კარგად იყენებს. ჩვენ უფრო მეტი ასეთი მოთამაშე გვჭირდება, რათა შევავსოთ ის სივრცეები, რაც 2015 წლის მსოფლიო თასზე გვქონდა. ყველამ, ვინც ბოლო დროს ნაკრებში გამოჩნდა, ეს ვარჯიშით დაიმსახურა. მაგალითად, სიჭინავას დიდი ხნის განმავლობაში ვაკვირდებოდით და უკანასკნელ 4-5 თვეში განსაკუთრებული მონდომებით ვარჯიშობდა. მისთვის შანსის მიცემას ნოემბერშიც ვფიქრობდით, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა სამუშაო. ის მთელი ახალი წლები თავდაუზოგავად შრომობდა, კარგად იაზრებდა, რა ჰქონდა გასაკეთებელი და შედეგად, ზედიზედ იწყებს თამაშს სასტარტო შემადგენლობაში.

***– თებერვალში ბორჯღალოსნები ინგლისელების მიწვევით ბრიტანეთს ეწვივნენ და მსოფლიოს მეორე საუკეთესო გუნდთან სამდღიანი ერთობლივი ვარჯიშები გამართეს. რა მოგვცა ამ წვრთნებმა?***

– ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ჩვენ ამ შემოთავაზებას დავთანხმდით, იყო ის, რომ მორაგბეებს ევარჯიშათ მსოფლიოს მეორე საუკეთესო გუნდთან, გასცნობოდნენ მათ გარემოს. ეს იმისთვის გაკეთდა, რომ დაენახათ, რომ მათგან დიდად არ განსხვავდებიან. ინგლისელებიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ჩვენ და ამ ვარჯიშებმა ბიჭებს თავდაჯერებულობა შემატა.

ჩვენმა ხაზის მოთამაშეებმა ივარჯიშეს მსოფლიოს საუკეთესო ბექების წინააღმდეგ და გაიაზრეს, რომ ისინი ისეთს არაფერს აკეთებენ, რისი გაკეთება მათაც არ შეუძლიათ. დარწმუნებული ვიყავი, რომ შერკინებაში მეტოქეს ბოლომდე მივაწვებოდით და ასეც მოხდა, რითაც ყველა კმაყოფილი დავრჩით. ამავდროულად, ვნახეთ, როგორ მუშაობენ ინგლისელები დერეფანში და მოლში. გვსურდა გვენახა იმ გუნდის მენეჯმენტი და გარემო, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსი აქვს და აღმოვაჩინეთ, რომ ორგანიზაციული თვალსაზრისით მათგან არც ისე შორს ვართ.

# კარაგერს სამსახურის დაკარგვა ემუქრება

ბრიტანეთში აქტიურად განიხილავენ ჯეიმი კარაგერის უღირს საქციელს, რომლის გამოც შესაძლოა ლივერპულის ყოფილი მცველი სამსახურიდანაც დაითხოვონ.

ვინც არ იცით, გეტყვით, რომ კარაგერი „სკაი სპორტზე“ ექსპერტად მუშაობს და მისი დატოვება მოუწევს. მიზეზი? იუნაიტედთან მატჩის მერე, მანჩესტერული კლუბის გულშემატკივარი თავის 14 წლის ქალიშვილთან ერთად მანქანით მოძრაობდა, როდესაც კარაგერის ავტომობილი შენიშნა. მან კარას რამდენჯერმე შეახსენა შაბათს გამართული შეხვედრის ანგარიში, რის შემდეგაც ჯეიმიმ მათ შეაფურთხა.



კარაგერმა იმავე საღამოს დაურეკა ოჯახს და ბოდიში მოუხადა, ამასთან საკუთარი საქციელის ახსნას შეეცადა:

– ეს რამდენჯერმე განმეორდა – ეი ჯეიმი, 2:1. როცა ეს პირველად გააკეთეს, მე მათ გავასწარი, თუმცა ისინი უკან დამედევნენ და ამას აგრძელებდნენ. დიახ, ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ რას ფიქრობდა ზრდასრული ადამიანი, რომელსაც ავტომობილში პატარა ბავშვი ეჯდა და ამავდროულად ასე იქცეოდა.

ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეოს თავად ავტომობილის მძღოლი იღებდა. მოგვიანებით კარამ ბოდიში ტვიტერის საშუალებითაც მოიხადა და განაცხადა, რომ მის საქციელს გამართლება არ აქვს.

ამის მიუხედავად, ვრცელდება ხმები, რომ „სკაი სპორტმა“ შესაძლოა კარაგერთან თანამშრომლობა მაინც შეწყვიტოს. დაზუსტებით რთულია იმის თქმა, ექნება თუ არა გაგრძელება ამ ისტორიას, მაგრამ ერთი კი ფაქტია – კარაგერი პროვოკაციაზე წამოეგო!

# შედეგები

**12 მარტი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სტოკი-სიტი ........................ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 30 | 26 | 3 | 1 | 85-20 | 81 |
| 2.მანჩესტერი | 30 | 20 | 5 | 5 | 58-23 | 65 |
| 3.ტოტენჰემი | 30 | 18 | 7 | 5 | 59-25 | 61 |
| 4.ლივერპული | 30 | 17 | 9 | 4 | 68-34 | 60 |
| 5.ჩელსი | 30 | 17 | 5 | 8 | 52-27 | 56 |
| 6.არსენალი | 30 | 14 | 6 | 10 | 55-41 | 48 |
| 7.ბარნლი | 30 | 11 | 10 | 9 | 27-26 | 43 |
| 8.ლესტერი | 30 | 10 | 10 | 10 | 45-43 | 40 |
| 9.ევერტონი | 30 | 10 | 7 | 13 | 35-49 | 37 |
| 10.უოტფორდი | 30 | 10 | 6 | 14 | 39-50 | 36 |
| 11.ბრაიტონი | 30 | 8 | 10 | 12 | 28-40 | 34 |
| 12.ბორნმუთი | 30 | 8 | 9 | 13 | 35-48 | 33 |
| 13.ნიუკასლი | 30 | 8 | 8 | 14 | 30-40 | 32 |
| 14.სუონსი | 30 | 8 | 7 | 15 | 25-42 | 31 |
| 15.ჰადერსფილდი | 30 | 8 | 7 | 15 | 25-50 | 31 |
| 16.ვესტ ჰემი | 30 | 7 | 9 | 14 | 36-57 | 30 |
| 17.საუთჰემპტონი | 30 | 5 | 13 | 12 | 29-44 | 28 |
| 18.კრ.პალასი | 30 | 6 | 9 | 15 | 28-48 | 27 |
| 19.სტოკი | 30 | 6 | 9 | 15 | 28-56 | 27 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 30 | 3 | 11 | 16 | 23-47 | 20 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალავესი-ბეტისი ........................ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 28 | 22 | 6 | 0 | 72-13 | 72 |
| 2.ატლეტიკო | 28 | 19 | 7 | 2 | 48-12 | 64 |
| 3.რეალი | 28 | 17 | 6 | 5 | 67-30 | 57 |
| 4.ვალენსია | 28 | 17 | 5 | 6 | 54-30 | 56 |
| 5.სევილია | 28 | 14 | 3 | 11 | 36-42 | 45 |
| 6.ვილიარეალი | 28 | 13 | 5 | 10 | 38-32 | 44 |
| 7.ხირონა | 28 | 12 | 7 | 9 | 40-36 | 43 |
| 8.ბეტისი | 28 | 12 | 4 | 12 | 46-53 | 40 |
| 9.ეიბარი | 28 | 11 | 6 | 11 | 35-41 | 39 |
| 10.სელტა | 28 | 11 | 5 | 12 | 45-42 | 38 |
| 11.ხეტაფე | 28 | 9 | 9 | 10 | 33-26 | 36 |
| 12.ბილბაო | 28 | 8 | 11 | 9 | 29-31 | 35 |
| 13.ესპანიოლი | 28 | 8 | 11 | 9 | 26-34 | 35 |
| 14.სოსიედადი | 28 | 9 | 6 | 13 | 50-50 | 33 |
| 15.ლეგანესი | 28 | 9 | 6 | 13 | 23-34 | 33 |
| 16.ალავესი | 28 | 10 | 1 | 17 | 25-42 | 31 |
| 17.ლევანტე | 28 | 4 | 12 | 12 | 23-42 | 24 |
| 18.ლას პალმასი | 28 | 5 | 5 | 18 | 20-57 | 20 |
| 19.დეპორტივო | 28 | 4 | 7 | 17 | 25-59 | 19 |
| 20.მალაგა | 28 | 3 | 4 | 21 | 16-45 | 13 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვერდერი-კიოლნი ........................ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 26 | 21 | 3 | 2 | 65-18 | 66 |
| 2.შალკე | 26 | 13 | 7 | 6 | 40-30 | 46 |
| 3.დორტმუნდი | 26 | 12 | 9 | 5 | 53-33 | 45 |
| 4.ლევერკუზენი | 26 | 12 | 8 | 6 | 47-33 | 44 |
| 5.აინტრახტი | 26 | 12 | 6 | 8 | 35-30 | 42 |
| 6.ლაიპციგი | 26 | 11 | 7 | 8 | 38-34 | 40 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 26 | 10 | 8 | 8 | 43-38 | 38 |
| 8.აუგსბურგი | 26 | 9 | 8 | 9 | 36-33 | 35 |
| 9.გლადბახი | 26 | 10 | 5 | 11 | 33-39 | 35 |
| 10.შტუტგარტი | 26 | 10 | 4 | 12 | 23-29 | 34 |
| 11.ჰერტა | 26 | 7 | 11 | 8 | 30-31 | 32 |
| 12.ჰანოვერი | 26 | 8 | 8 | 10 | 33-38 | 32 |
| 13.ვერდერი | 26 | 7 | 9 | 10 | 27-31 | 30 |
| 14.ფრაიბურგი | 26 | 6 | 12 | 8 | 25-42 | 30 |
| 15.ვოლფსბურგი | 26 | 4 | 13 | 9 | 28-36 | 25 |
| 16.მაინცი | 26 | 6 | 7 | 13 | 29-43 | 25 |
| 17.ჰამბურგი | 26 | 4 | 6 | 16 | 18-41 | 18 |
| 18.კიოლნი | 26 | 4 | 5 | 17 | 25-49 | 17 |

**იტალია. სერია ბ**

ნოვარა-ბრეშა ........................ 2:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-ბურჟი ........................ 0:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

შავიში-სპორტინგი ........................ 1:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-ლოკომოტივი ........................ 0:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკჰისარი-ტრაბზონი ........................ 1:3

**პოლონეთი. ელიტსერია**

არკა-ნეჩეცა ........................ 4:0

**დანია. სუპერლიგა**

კოპენჰაგენი-ჰელსინგერი ........................ 4:3

**ნორვეგია. ელიტსერია**

კრისტიანსენი-ვალერენგა ........................ 0:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# მანჩესტერი თავდამსხმელსა და მცველს ეძებს

მიუნხენის ბაიერნის პოლონელი შემტევი, რობერტ ლევანდოვსკი, სავარაუდოდ, ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე კლუბს გამოიცვლის. არის ბევრი საუბარი, რომ ის სათამაშოდ ესპანეთში გადაბარგდება, რადგან მისი შეძენით ყველაზე აქტიურად მადრიდის რეალი იყო დაინტერესებული.

თუმცა, თუ გერმანულ მედიას დავუჯერებთ, ესპანელები ლევანდოვსკის ყიდვას არ ჩქარობენ, მეტიც, დიდი ალბათობით, შესაძლოა, ეს ტრანსფერი არც განხორციელდეს. სამაგიეროდ, ინგლისური მანჩესტერ იუნაიტედი გააქტიურდა მის შესაძენად.



როგორც ჩანს, მოურინიოს, იბრაჰიმოვიჩის შემცვლელად, სწორედ ლევანდოვსკი მიაჩნია. გარდა ამ ორი გრანდისა, გამოცდილი პოლონელი თავდამსხმელის შეძენას კიდევ ერთი ინგლისური კლუბი, ლონდონის ჩელსი ეცდება.

მანჩესტერული კლუბი მარტო ლევანდოვსკის არ უყურებს და თვალი იტალიისკენაც უჭირავს. იუნაიტედი ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე რამდენიმე ტრანსფერს განახორციელებს. პორტუგალიელის განცხადებით, კლუბში ახალი მცველები და ნახევარმცველები მოვლენ.

ცნობილია ასევე პორტუგალიელის ინტერესი ტურინის იუვენტუსის ბრაზილიელი მარცხენა მცველის, ალექს სანდროს მიმართ. ჟოზე ხელმძღვანელობას მცველისთვის შესაფერისი თანხის გამოყოფას სთხოვს.

„წითლები" მზად არიან, ფეხბურთელის სანაცვლოდ 80 მილიონი ევრო გადაიხადონ. ეს ის თანხაა, რომელიც, სავარაუდოდ, „ბებერი ქალბატონისთვის" უარის თქმის მიზეზი არ გახდება. გარდა სატრანსფერო ფასისა, „წითელი ეშმაკები" 27 წლის ფეხბურთელს ხელფასის სახით გაორმაგებულ ციფრებს სთავაზობს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ბრიტანული კომპანია მომღერალ პრეზერვატივებს გამოუშვებს

ბრიტანული კომპანია Crown Jewels-ი პრინც ჰარისა და მეგან მარკლის ქორწილთან დაკავშირებით შეზღუდული ტირაჟით გამოუშვებს პრეზერვატივებს დევიზით „თქვენი პრინციც მოვა".




სულ შეკვრაში ოთხი პრეზერვატივი იდება, „პრინცისთვს შესაფერისი", ნამდვილობის სერტიფიკატით. კოლოფის გახსნისას გაისმება დიდი ბრიტანეთის და აშშ-ის ჰიმნები „ღმერთო, დაიფარე დედოფალი" და „დროშა, მოჭედილი ვარსკვლავებით". ერთი შეკვრის ფასი ათი ევროა.

პრეზერვატივის კოლოფზე გამოსახულია პრინცი ჰარი და მისი საცოლის მეგან მარკლის პორტრეტები.

შეგახსენებთ, რომ მეგან მარკლის და პრინც ჰარის ქორწილი მიმდინარე წლის 19 მაისს შედგება.

# თვითმფრინავის მგზავრებმა შიშველი მგზავრი გაკოჭეს

დაკის აეროპორტის უსაფრთხოების სამსახურმა დააკავა ავიახულიგანი, რომელიც ბანგლადეშში მალაიზიიდან ჩაფრინდა. ახალგაზრდა მამაკაცი თვითმფრინავის სალონში შიშველი დადიოდა და საკუთარ ნოუთბუქში პორნოს უყურებდა.

მომხდარის თვითმხილველთა თქმით, მამაკაცი თავის ადგილზე შარდავდა და შიშველი დადიოდა. თვითმფრინავის ეკიპაჟმა მისი დამშვიდება ვერ მოახერხა, ამიტომ მათ ამაში მგზავრები დაეხმარნენ, ის დაიჭირეს და გაკოჭეს. აეროპორტში კი ის უსაფრთხოების სამსახურს გადასცეს.

ავიაკომპანია მალინდო ეირმა განაცხადა, რომ ეკიპაჟი სტანდარტული ინსტრუქციების დაცვით მოქმედებდა, რის თანახმადაც მათ მგზავრისთვის გადაადგილების შეზღუდვა მოუხდათ. დაკავებული 20 წლის სტუდენტი აღმოჩნდა მალაიზიის ქალაქ საიბერჯაიადან.

# ფირმამ მთვრალ მამაკაცს ტაქსის ფული გადაუხადა

აშშ-ის მცხოვრებმა კენი მაჩმანმა თავბრუდამხვევი წვეულების შემდეგ სახლამდე მიღწევა, რომელიც მეზობელ შტატში მდებარეობდა, უფასოდ მოახერხა.

თავდაპირველად მამაკაცი დარწმუნებული იყო, რომ ტაქსი მას დასავლეთ ვირჯინიის უნივერსიტეტამდე მიიყვანდა, სადაც მისი სასტუმრო მდებარეობდა, მაგრამ სიმთვრალის გამო მან მისამართი არასწორად უთხრა მძღოლს და ამიტომ დანიშნულების ადგილიდან 577 კილომეტრით დაშორებულ სახლში ჩავიდა, რომელიც ნიუ-ჯერსიში მდებარეობს.

მგზავრობის ღირებულებამ 1635 დოლარი შეადგინა. ბაჩმანმა გადაწყვიტა მგზავრობის საფასური ერთ-ერთი ვებ-გვერდის დახმარებით შეეგროვებინა.

თუმცა ხალხმა მისი დახმარება ვერ მოასწრო. მგზავრობის საფასური დაფარა კომპანიამ, რომელიც ჯანსაღი საკვების გადაზიდვითაა დაკავებული. ფირმაში განმარტეს, რომ კომპანია მხარს უჭერს მის გადაწყვეტილებას უსაფრთხო საშუალე-




ბით მისულიყო სახლში, იმის ნაცვლად, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი თავად დამჯდარიყო ავტომობილის საჭესთან.

# ქარის გატაცებულმა ქოლგამ ქალი იმსხვერპლა



პლაჟზე მოსეირნე ქალს ქოლგა მოხვდა და დაიღუპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი სამეცნიერო ჟურნალი ავრცელებს.

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ 55 წლის დამსვენებელი ქალბატონის დაღუპვის მიზეზი გახდა ქარის მიერ გატაცებული ქოლგის მახვილი წვერი. მისი დარტყმის დროს წნევა 110 მეგაპასკალს შეადგენდა.

ეს იმდენად სწრაფად მოხდა, რომ ქალის თანამგზავრი ვერც კი მიხვდა, თუ რა მოხდა. ქალს სული შეეხუთა და ლაპარაკს ველარ ახერხებდა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს და ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ერთ საათში გარდაიცვალა. გაკვეთამ აჩვენა, რომ დარტყმის შედეგად გაგლეჯილი იყო მკერდის კუნთოვანი ქსოვილი, ჩამტვრეული იყო ნეკნი და დაზიანებული გულის მარცხენა პარკუჭი.

სამეცნიერო ჟურნალში მითითებული არ არის, თუ სად და როდის მოხდა ეს ტრაგიკული შემთხვევა.

# ავსტრალიელმა პენსიონერმა ზვიგენი შიშველი ხელებით მოიგერია



ავსტრალიელმა პენსიონერმა მოახერხა, რომ ზვიგენი შიშველი ხელებით მოეგერიებინა. თავად მას მიაჩნია, რომ გადარჩენაში მას ნათელი ფერის საცურაო ტრუსები დაეხმარა.

რობ კროსლანდი ავსტრალიის შტატ ვიქტორიადან საცურაოდ სადილის შემდეგ გაემგზავრა. ბანაობის დროს 69 წლის ავსტრალიელმა ჯერ მტაცებლის ზურგის ფარფლი შენიშნა, შემდეგ დაახლოებით სამმეტრიანი ზვიგენი. მან წყალში ჩაყვინთა და მტაცებელს მუშტები ცხვირში დაუშინა.

– მან ჩემ გარშემო ექვსი თუ შვიდი წრე დაარტყა და მე ყოველ ჯერზე მას ცხვირში ვურტყავდი. ველოდი იმ მომენტს, თუ როდის გახსნიდა ყბებს, – განაცხადა კროსლანდმა. მან განმარტა, რომ არ უცდია ზვიგენს ცურვით გასცლოდა, ვინაიდან ისინი სწორედ ასეთ დროს ესხმიან თავს. როგორც კი მტაცებელმა მისდამი ინტერესი დაკარგა, ავსტრალიელი მაშინვე ნაპირზე ავიდა და განგაში ატეხა.

მოგვიანებით მამაკაცმა აღიარა, რომ ზებუნებრივი ძალების ჩარევის სჯერა და სწორედ ამით ხსნის საკუთარ გადარჩენას. ასევე მისი თქმით, ის საკუთარ გადარჩენას ნათელი ფერის საცურაო ტრუსებსაც უმადლის, ვინაიდან მათი ფერის გამო ზვიგენმა ის სელაპად არ მიიჩნია, რომელზეც ეს მტაცებელი ჩვეულებრივ ნადირობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 14 მარტისთვის



**ვერძი** – აქტიური დასვენება თქვენს ფსიქიკაზე დადებითად იმოქმედებს. საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. **კურო** – პარტნიორებთან თანამშრომლობა ძალზე პროდუქტიული იქნება. მარტოხელებს სასიამოვნო შეხვედრები გელით. **ტყუპები** – სიტუაციას არაადეკვატურად აფასებთ, ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი საქმე გადადეთ. **კირჩხიბი** – თქვენი პირადი მომხიბვლელობა იზრდება. ნებისმიერ პრობლემას იოლად და ძალდაუტანებლად მოაგვარებთ. **ლომი** – ნებისმიერი წამოწყება საეჭვოა. არ არის გამორიცხული, დაუფიქრებელ ნაბიჯს სავალალო შედეგი მოჰყვეს. **ქალწული** – მატერიალური მდგომარეობა არასტაბილურია, თუმცა – გამოსწორებადი. თუ არ იზარმაცებთ, შედეგით კმაყოფილი დარჩებით. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. პლანეტები გირჩევენ, არ გადაიღალოთ. პარტნიორთან უთანხმოება თანამშრომლობის მომავალ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება. **ღრიანკალი** – შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. რეალობას რომანტიკულად აღიქვამთ. წარმატება თავდაჯერებულობას შეგმატებთ. **მშვილდოსანი** – დღის დევიზია სულიერი წონასწორობა, სიმშვიდე და ერთგულება. რისკი გაუმართლებელია. **თხის რქა** – მეგობრებთან ურთიერთობისას კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი არ აგცდებათ. **მერწყული** – საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. თქვენი ავტორიტეტის შელახვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **თევზები** – ფულს ნუ გაფლანგავთ. არასაჭირო შენაძენისგან თავი შეიკავეთ. იყავით მიზანდასახული და დამოუკიდებელი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. პიროტექნიკური ტკაცუნა; 2. ატომგულის შემადგენელი დადებითად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკი; 3. ქართველი მწერალი; 4. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 5. პარაზიტი სოკოებით გამოწვეული ადამიანის დაავადება; 9. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 10. ფანქრების წარმოებაში გამოყენებული ნახშირბადის შემცველი მინერალი; 14. იტალიის არმიის, ელიტური ქვეითი ნაწილების ჯარისკაცი; 15. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 16. პატარა მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 19. არგენტინელი მწერალი; 20. კლიმატური კურორტი ხაშურის რაიონში; 21. თვითმფრინავების სადგომი.

**თარაზულად**: 6. ბოტანიკური ბაღის ნაწილი; 7. ტვინის შერყევა; 8. აკრობატული ხტომებისთვის განკუთვნილი სპორტული იარაღი; 11. საჭმლის სუნელ-სანელებელთა ერთობლიობა; 12. ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვებისგან იღებენ წითელი ფერის საღებავს; 13. მონასტერი ქსნის ხეობაში; 17. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 18. ერთკუზიანი აქლემი; 22. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 23. ვენეციური ნავი; 24. ჯაშუში, დამსმენი; 25. გემის სრული ტვირთმზიდაობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. არეშიძე; 2. ჩამპინო; 3. ელარჯი; 4. ჰააგა; 5. ნოვატორი; 7. ტბა; 11. ვირუსი; 15. რომანსი; 16. გილდია; 17. რამპა; 18. ცაიში; 20. სოფია; 22. რომი.

**თარაზულად:** 6. რეკეტი; 8. მარტელი; 9. შტატივი; 10. შარტავა; 12. დიჯეი; 13. აქატი; 14. ჰიტრიონი; 19. კამპუსი; 21. ჰაკერი; 23. აბული; 24. ოპიუმი; 25. ქსილიტი; 26. დიპტანკი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რემისია; 2. პაროდია; 3. პისტოლეტი; 4. იგრიკა; 5. ალმაზა; 9. ერატო; 10. ორიგამი; 14. მიზანთროპი; 15. საქსაფონი; 16. ინკები; 19. გუდვილი; 20. ფეიხოა; 21. ალვირი.

**თარაზულად:** 6. რესტარვაცია; 7. ცანგალა; 8. ჰიტროუ; 11. იროკეზი; 12. დიდრო; 13. ნეფრიტი; 17. პარანომია; 18. პენტჰაუზი; 22. ვეჯვუდი; 23. ბაღდათი; 24. პლომბირი; 25. ლიფონავა.

# ნიკა გვარამია ქეთი დოლიძის წინააღმდეგ





ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია რეჟისორ ქეთი დოლიძეს უპირისპირდება და მას უსაშინლეს არსებას უწოდებს.

ამის მიზეზი რეჟისორის მიერ გაკეთებული განცხადება გახდა:

– რომ ვამბობ, ცუდი რამ მზადდება, გაიხსენებთ! ძალიან ცუდი სუნი უდის ამ საქართველოს მასშტაბით აგორებულ „მშვიდობიან“ მიტინგებს! ეჰეი! ხელისუფლება! ეს არ ნიშნავს ერთ გზავნილს თქვენსკენ?! გზავნილი ასეთია: თქვენ ვერ ახერხებთ, ჩვენ მოვახერხებთ! ძალიან სახიფათო ამბები იწყება!

**ნიკა გვარამია:**

– უსაშინლესი არსება. თავისუფლების და ახალგაზრდობის მოძულე. იმ სამარცხვინო წერილის და რუსული პროპაგანდის რუპორობის ფონზე, დიდად მაინტერესებს და ვაკვირდები, სახელმწიფო ისევ თუ დაუფინანსებს ფესტივალ „საჩუქარს“.

# მარიამ მამადაშვილმა ამერიკული კონკურსი მოიგო



2016 წლის საბავშვო ევროვიზიის მოგების შემდეგ, ქართველმა მომღერალმა მარიამ მამადაშვილმა ამერიკაში გამართული მუსიკალური კონკურსიც მოიგო.

ნიუ იორკში მედისონ სქვერ გარდენში მუსიკალური კონკურსი გაიმართა, სადაც მარიამმა ბილი ჯოელის ერთ-ერთი ცნობილი სიმღერა შეასრულა და კონკურსის უპირობო ფავორიტიც გახდა.

# თაკო მელიქიშვილი ქეთა თოფურიას იცავს



მომღერალი თაკო მელიქიშვილი ქეთა თოფურიას იცავს, რომელიც ბოლო პერიოდში ქართველმა საზოგადოებამ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა.

**თაკო მელიქიშვილი:**

– რა ქეთა თოფურია და პატრიოტობა აგიტყდათ, სხვა არაფერი პრობლემა არ გვაქვს? უკეთესი პირობები რუსეთმა და პუტინმა რომ შემოგთავაზოთ, პირველები თქვენ გაიქცევით. სირცხვილია მართლა ან არ დაიღალეთ. რა სააკაშვილი და რა ოცნება. რუსულ სიმღერას მარტო გოიმები აპროტესტებენ. ხელოვნება პოლიტიკა არაა და, ვითომ პატრიოტებო, ჯობია თქვენ საქმეს მიხედოთ. ამ გოგომ მიხედა და გულები ნუ გისკდებათ შურით. სადაც გაფასებენ და უკეთეს პირობებს გთავაზობენ, იქ უნდა იყო. ემიგრანტები და ხეები დააბრუნეთ თქვენ აშენებულ ქვეყანაში.

# თიკა მახალდიანი გოგონას დედა გახდა



მომღერალი თიკა მახალდიანი გოგონას დედა გახდა. მას და მის მეუღლეს თემო პირველაშვილს პატარა რამდენიმე დღის წინ შეეძინათ.

დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. ახალბედა მშობლებმა პატარას კირა დაარქვეს.

თიკამ და თემომ ახალშობილთან ერთად უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ეარ ფრანსი ფრენისას მგზავრებს „დედეს“ აყურებინებს



მარიამ ხაჭვანი




მარიამ ხაჭვანის ფილმით „დედე“, რომელიც არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზიორი და გამარჯვებულია, ფრანგული ავიაკომპანია ეარ ფრანსი დაინტერესდა.

„დედე“ პირველი ქართული ფილმია, რომლითაც ფრანგული უმსხვილესი ავიაკომპანია დაინტერესდა. კომპანიამ გამოთქვა სურვილი, რომ მარიამ ხაჭვანის ფილმი „დედე“ მათი ავიახაზების მგზავრებისთვის იყოს ხელმისაწვდომი და მალე მგზავრებს ფილმის ნახვა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში თვითმფრინავით ფრენისას შეეძლებათ.

გასული წლის მონაცემებით, ეარ ფრანსის ავიახაზების მომსახურებით 98.7 მილიონმა ადამიანმა ისარგებლა. „დედეს“ ჩვენება ეარ ფრანსის ავიახაზების თვითმფრინავებში ნიშნავს 98.7 მილიონ შესაძლებლობას, 98.7 მილიონი ადამიანი გაეცნოს საქართველოს კულტურას და ქვეყანას. ეს არის შესაძლებლობა ეკონომიკური კეთილდღეობისა და ტურიზმის დიდი განვითარებისა.

როგორ გაჩნდა ფილმის გადაღების იდეა, რომელია ყველაზე პრესტიჟული ჯილდო რეჟისორისთვის და რას ნიშნავს მარიამ ხაჭვანისთვის „დედეთი“ ეარ ფრანსის დაინტერესება, ამ თემებზე რეჟისორი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

***– როგორ გაჩნდა ფილმის გადაღების იდეა. ისტორია რეალურ ამბავზეა?***

– ფილმის გადაღების იდეა ბებიაჩემისგან წამოვიდა, როდესაც ის თავის მძიმე ცხოვრების შესახებ მიამბობდა, როდესაც მოვისმინე სხვისი ისტორიები, მივხვდი, რომ ეს მარტო ბებიას არ ეხებოდა. ძალიან მძიმე ცხოვრება იყო სვანეთში.

***– არაერთი ჯილდო მოიპოვეთ. ყველაზე მეტად რომელს გამოარჩევდით?***

– ყველაზე მეტად აზიის ოსკარის აღება გამიხარდა, რადგან გარდა იმისა, რომ არის ეს ფილმის ჯილდო, ქვეყნის ჯილდოც არის. იუნესკოს ნომინაცია მოვიგე, როგორც კულტურული მრავალფეროვანი ქვეყანა. ასევე ძალიან გამიხარდა, კანის კინემატოგრაფისტების შეხვედრაზე ჟიურის გრანპრი რომ ავიღე.

***– რამდენად სწორად გაიგო თქვენი სათქმელი უცხოელმა მაყურებელმა?***

– ჩემი აზრით, ძალიან სწორად გაიგო. ეს ფილმი იმით გამოარჩიეს, რომ მარტივად არის გადმოცემული სათქმელი, პატარა ბავშვიც კი გაიგებს ამ ფილმს.

***– როგორ მიიღო თქვენი ფილმი ქართველმა მაყურებელმა და თუ აქტიურობენ კინოთეატრებში?***

– ქართველმა მაყურებელმაც ძალიან კარგად მიიღო. ზოგადად საკმაოდ მკაცრი შემფასებელია და გამიხარდა, რომ თბილად შეაფასეს ჩემი ფილმი. ნუ, რა თქმა უნდა, ყველას არ მოეწონება და არცაა აუცილებელი ყველას მოეწონოს.

***– „დედეთი“ უმსხვილესი ფრანგული ავიაკომპანია ეარ ფრანსი დაინტერესდა.***

– დიახ, ეარ ფრანსი დაინტერესდა, რომელიც უდიდესი ავიაკომპანიაა და ვინც იცის, ფრენის დროს მაყურებელს მაქსიმუმ ოცი ფილმი შემოგთავაზონ და სასიამოვნოა ამ ოც ფილმში „დედეც“ რომ იქნება.

***– „დინოლა“, „დედე“, უკვე იცით, რა ფილმი იქნება შემდეგი?***

– „დედეს“ შემდეგ ახლა ვმუშაობ ახალ სრულმეტრაჟიან პროექტზე. ამჟამად ვიმყოფები პარიზში კანის კინოფესტივალის ექვსთვიან კურსებზე, სადაც სცენარის წერაში ცნობილი დრამატურგები მეხმარებიან. ასევე ოფიციალურად ვარ მიწვეული კანისა და ლოკარნოს კინოფესტივალებზე.

# სიღნაღში აივნები ინგრევა



ტურისტების სიმრავლით გამორჩეულ ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ქალაქში, სიღნაღში აივნები ინგრევა და ფასადები საღებავებისგან იქერცლება.

ინფორმაცია და ფოტოები ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა გაავრცელა და მოუწოდა ადგილობრივ ხელისუფლებას, ყურადღება მიაქციონ სიყვარულის ქალაქს.

**გოგა ჩანადირი:**

– სიღნაღი, ერთ-ერთი ტურისტული ქალაქი თვალსა და ხელს შორის უბედურდება.

ინგრევა აივნები, ფასადები და აივნები საღებავისგან იქერცლება. უკუსვლას ბევრ რამეში აღმოაჩენთ.

კიდევ ერთი ცუდი ის არის, რომ ბევრგან უგულებელყოფილია სახელმწიფო ენა.

ამ პატარა ქალაქის მოვლა რთული არ ჩანს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მთავრობას არ აინტერესებს ან ფული გამოიყოფა და მიზანმიმართულად არ იხარჯება.

სიღნაღი მისახედია.

# პუმა უიარაღო კანადელს მთელი საათი უთვალთვალებდა



კანადელს, რომელიც ტყეში ცხოველებზე სათვალთვალო კამერებს აყენებდა, მთელი ერთი საათი უკან დაჰყვებოდა და უთვალთვალებდა პუმა.

მტაცებელი ადამ ბარშჩს კანადის პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიის ქალაქ კემპბელ-რივერის მახლობლად ტყეში აეკიდა. იმ ადგილებში ნადირობა აკრძალულია, ამიტომ მამაკაცი უიარაღოდ და შესაბამისად სრულიად დაუცველი იყო.

ბარშჩმა ცხოველი ვიდეოზე გადაიღო.

– ჩემგან 20 მეტრში ზის პუმა, ნამდვილი ურჩხული და მე მომჩერებია. ძალიან დიდი ცხოველია, – ამბობს კანადელი კადრს მიღმა კომენტარში, – და ამ დროს არ მაქვს არც იარაღი და არც სხვა არაფერი, ის კი უზარმაზარია.

მამაკაცმა სამჯერ მოახერხა მტაცებლის დაფრთხობა, მაგრამ ის ყოველთვის უკან ბრუნდებოდა. ერთხელ მას მტაცებელი მხედველობის არედან დაეკარგა, მაგრამ მალე პუმა ისევ გამოჩნდა ხეებს შორის.

# ავსტრალიის პლაჟზე თევზი-ურჩხული იპოვეს



ჯონ და რაილი ლინდჰოლმებმა, რომლებიც ავსტრალიის პლიაჟზე Moore Park Beach-ზე ისვენებდნენ, ქვიშაზე ორმეტრიანი თევზი-ურჩხული აღმოაჩინეს.

თევზის წონამ დაახლოებით 150 კილოგრამი შეადგინა. ერთ-ერთი აღმომჩენი პროფესიონალი მეთევზეა, მაგრამ ამ სახეობის იდენტიფიცირება ვერ შეძლო.

– უამრავი სხვადასხვა სახეობის თევზი მინახავს, მათ შორის ბევრი დიდი თევზი, მაგრამ ამის მსგავსს არაფერს შევხვედრივარ, – განაცხადა ლინდჰოლმმა.

მიზეზი, თუ როგორ აღმოჩნდა თევზი ხმელეთზე, უცნობია. ლინდჰოლმის ვარაუდით, თევზი სიბერის ან ავადმყოფობისგან დაიღუპა, მის სხეულზე რაიმე სახის დაზიანებები არ ყოფილა.

კვინსლენდის მუზეუმის სპეციალისტების აზრით, ნაპოვნი არსება სავარაუდოდ კვინსლენდური გიგანტური გრუპერია, რომელიც ქვის ოკუნის ოჯახს განეკუთვნება.

# ქალი შხამიანი ობობის გადასარჩენად წყალში გადახტა

ავსტრალიის მკვიდრმა ანდრეა გოფტონმა წყალდიდობის დროს შხამიანი ობობა გადაარჩინა. მომხდარის ამსახველი ვიდეო ქალმა ფეისბუქზე საკუთარ გვერდზე განათავსა.

ინციდენტი კვინსლენდის შტატის ქალაქ გალიფაქსში მოხდა. ვიდეოზე ჩანს, რომ კვინსლენდური სტვენია ობობა ავოკადოს ხის ტოტზეა ჩაბღაუჭებული, ხოლო მის ქვევით წყლის სწრაფი დინება მოჩანს. თავდაპირველად გოფტონს მასთან ხელის გული მიაქვს, რათა ამით ცხოველის ზომას ხაზი გაუსვას. შემდეგ ის ფრთხილად მოტეხავს ტოტს და ობობას მიწაზე სვამს და ეუბნება: „გაიქეცი, პატარავ, თავისუფალი ხარ“.



კვინსლენდური სტვენია ობობა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ობობაა ავსტრალიაში. მათი შხამი ადამიანისთვის სასიკვდილო არაა, თუმცა მათი ნაკბენი უკიდურესად მტკივნეულია და შესაძლოა მძიმე მოწამვლა გამოიწვიოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

სამშობიარო სახლი და პედიატრიული საავადმყოფო „იმედის კლინიკის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელს გია ნიჟარაძეს დედის

**მანანა კალმახელიძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


14 მარტისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4328 |
| ევრო | 2.9953 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.3714 |
| 100 რუსული რუბლი | 4.2803 |

## ამინდის პროგნოზი 14 მარტისთვის







## 6 მარტიდან

მაია ბურჭულაძე

### უფასო ბილეთი წარსულში

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 8 მარტიდან




60 ამბავი

### უცხოეთში დაკარგული ქართველები

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




## 13 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

### ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## 15 მარტიდან




100 ამბავი

### მსოფლიო მონარქები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## შხამიანი გველი პნევმატური ჩაქუჩით დაიჭირეს

ავსტრალიაში პნევმატური ჩაქუჩის დახმარებით დაიჭირეს შხამიანი გველი, რომლის დაჭერასაც ნახევარი წლის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ.

ინციდენტი ავსტრალიის კვინსლენდის შტატში მოხდა. გველებზე მონადირეებს პნევმატური ჩაქუჩით ორი საათი მუშაობა დასჭირდათ, რათა სახლის მახლობლად დაგებული ბეტონის საფარი დაენგრიათ და ქვეწარმავლის ბუნაგამდე მიეღწიათ. შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა თითქმის მეტრნახევრიანი ყავისფერი გველი ამოათრია და შემდეგ უახლოეს ტყეში გაუშვა.

გველებზე მონადირე ტონი ჰარისონმა განაცხადა, რომ ის არაერთხელ გამოიძახეს ამ სახლში, მაგრამ რეპტილია ვერ იპოვა. სახლის ახალმა მფლობელებმა გადაწყვიტეს, რომ სახიფათო ქვეწარმავალი თავიდან ნებისმიერი საშუალებით მოეცილებინათ, ვინაიდან თავიანთი ბავშვების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება არ სურდათ.

– ახლა ოჯახი სიხარულისგან მეცხრე ცაზეა, ვინაიდან უკვე შეუძლიათ მშვიდად დაიძინონ, – განმარტა ჰარისონმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## იუმორი

უშვილო წყვილმა რა არ ცადა, მაგრამ ბავშვი არ ეყოლათ. ბოლოს ერთ-ერთ სექსოპათოლოგს მიაკითხეს. მას შემდეგ, რაც ექიმმა ორივეს მოუსმინა, მამაკაცი ცალკე გაიყვანა და ურჩია:

– ცოლს ყველაზე მოულოდნელ მომენტში უნდა დაეუფლო და მაშინ შესაძლოა, ბავშვი ჩაისახოს.

ოთხი თვის შემდეგ ბედნიერმა წყვილმა ექიმს მიაკითხა, რათა სასარგებლო რჩევისთვის, რომელმაც შედეგი გამოიღო, მადლობა გადაუხადონ.

ექიმმა ქმარი ისევ გვერდზე გაიხმო და ეკითხება:

– კი მაგრამ, როგორ მოახერხე, ცოლს ასე მოულოდნელად დაუფლებოდი, რომ დაფეხმძიმებულიყო?

– რაღაცას ეძებდა მაცივარში, ამ დროს უკნიდან მივეპარე, კაბა ავუწიე და... დაფეხმძიმდა...

– ჰოო. ალბათ ძალიან გაოცებული გამომეტყველება ექნებოდა.

– ეგ რა არის, თქვენ უნდა გენახათ, როგორი გამომეტყველება ჰქონდათ სუპერმარკეტის თანამშრომლებსა და მყიდველებს!

•••

ტელეფონის ზარია:

– ალო, სახანძროა?

– დიახ, რაშია საქმე?

– იცით, აქ პოლიციელი და ექიმი ერთმანეთს ურტყამენ და ამიტომ გადავწყვიტე, თქვენთვის დამერეკა.

•••

ქალს ქუჩაში მშობიარობა დაეწყო. ამ დროს გზად მიმავალი ვალოდა შენიშნა და დაუძახა:

– მიშველე, დამეხმარე!

– ლა უნდა გავაკეთო, სენი წილიმე?

– ბავშვს თავში ხელი ჩაავლე და გამოქაჩე.

– ალის, გამოვქაჩე. ახლა ლა უნდა გავაკეთო?

– ბავშვი ფეხებით დაიჭირე და საჯდომზე ხელი წამოარტყი.

ვალოდამ ბავშვს წამოარტყა. ბავშვმა დაიჩხავლა, ის კი ეუბნება:

– იქ ალალ შეძვლე, თოლემ ალალ გამოგიკვან!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 1 მარტიდან




კანდიდ ჩარკვიანი

### სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## დონარუმას მილანიდან წასვლა სურს



ჯანლუიჯი დონარუმას მილანის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი აქვს და ამის გამო ის შესაძლოა მილანიდან წავიდეს.

ბოლო პერიოდში აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დონარუმა რომელიმე ინგლისურ გრანდს მიაშურებს, თუმცა კონკრეტულად არცერთი გუნდი არ სახელდება. ახალგაზრდა მეკარე უკმაყოფილოა იმით, რომ მილანმა მას ანაზღაურება არ გაუზარდა და ახალი კონტრაქტი არ შესთავაზა.

მილანში ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებენ. დონარუმა ჯერ მხოლოდ 19 წლის არის და ის ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მეკარედ ითვლება.

## ფილიპე კოუტინიო: „მინდა, რომ ნეიმარი დაბრუნდეს“



ბარსელონის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფილიპე კოუტინიომ ნეიმარის ბარსელონაში დაბრუნებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ძალიან გაუხარდება ნეიმართან ერთად გუნდში თამაში:

– ნეიმარი შესანიშნავი ფეხბურთელია და, თუ ბარსელონაში დაბრუნდა, ძალიან გამიხარდება. ჩვენ ნაკრებში ერთად ვთამაშობთ და ნეიმარი ყოველთვის ახერხებს ჩემს გაოცებას. გარდა ამისა, ის კარგი ადამიანი და მეგობარია.

ნეიმარის დაბრუნებაზე თანახმაა ივან რაკიტიჩიც, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში ბრაზილიელი ფეხბურთელი შეაქო.

## დავიდ სილვა: „ჩემი შვილი უკეთესად არის“



მანჩესტერ სიტის ესპანელმა ნახევარმცველმა დავიდ სილვამ თავის დღენაკლულ შვილზე ისაუბრა და თქვა, რომ ის უკეთესად არის.

სილვას თქმით, ფეხბურთი მას პირადი პრობლემების დავიწყებაში ეხმარება და მოედანზე თავს ძალიან კარგად გრძნობს.

– ჩემი შვილი ისევ იბრძვის სიცოცხლისთვის, მაგრამ ბოლო პერიოდში უკეთესად არის. ვთვლი, რომ კარგ ფორმაში ვარ და ფეხბურთის თამაში მსიამოვნებს. როდესაც მოედანზე ვარ, ყველაფერი მავიწყდება, – განაცხადა დავიდ სილვამ.

სილვა მართლაც კარგ ფორმაშია და ბოლო პერიოდში მანჩესტერ სიტის ერთ-ერთი მთავარი ლიდერია მოედანზე.

## ანტუან გრიზმანი ბარსელონას შეუთანხმდა



ესპანურ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ მადრიდის ატლეტიკოს ფორვარდი ანტუან გრიზმანი ბარსელონას შეუთანხმდა და ზაფხულში ის კატალონიური გუნდის ფეხბურთელი გახდება.

ჯერჯერობით ოფიციალურად ეს ინფორმაცია არ დადასტურებულა, მაგრამ ამის შესახებ ჭორები უკვე დიდი ხანია არსებობს.

გრიზმანის ტრანსფერი ბარსელონას 90 მილიონი ევრო დაუჯდება და ეს თანხა გაცილებით ნაკლებია იმასთან შედარებით, რაც ბარსელონამ დემბელესა და კოუტინიოს ტრანსფერებში გადაიხადა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი



**შვეულად**: 1. პროვინცია კანადაში; 2. ლეონარდო და ვინჩის შედევრი; 3. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 4. გერმანული პარფიუმერიული ფირმა; 5. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 7. თევზის ძვალი; 11. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 15. მარგანეცის საბადო ჭიათურის მახლობლად; 16. ქართული ხალხური ზღაპარი; 17. მდინარის მონაკვეთი ორ მეზობელ კაშხალს შორის; 18. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 20. იტალიური წარმოშობის ცნობილი ამერიკელი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 22. წარწერა საბანკო ჩეკზე სხვა პირისთვის გადაცემის შესახებ.

**თარაზულად**: 6. მე-18 საუკუნის აზერბაიჯანელი პოეტი, სახელმწიფო მოღვაწე; 8. თაღლითის ძველი ქართული სახელწოდება; 9. ამერიკული ნავთობკომპანია; 10. დაპყრობილ ქვეყანაში, ხარკის ამკრეფი, მონღოლთა ხანის წარმომადგენელი; 12. ქართველი მწერალი, რომან „გმირთა ვარამის“ ავტორი; 13. ქიმიური ელემენტი, აირი; 14. შვედი მილიარდერი, კომპანია „იკეას“ მფლობელი; 19. ცრუ, ვერაგი, მოღალატე ადამიანი; 21. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 23. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 24. თაღლითური გზით წარმოებული საქმე; 25. ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 26. ლამაზად, მოხდენილად ჩაცმა-დახურვის მოყვარული მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*